# საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge







იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გაგდება ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ხუთშაბათი, 31 აგვისტო. 2017 წ. №175 (8312), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.


## ილია კივა კივის:

# სააკაშვილის მომხრეებს ყველას ადგილზე დავხვრეტ!



უკრაინის შს მინისტრის ყოფილი მრჩეველი და ამჟამად უკრაინის სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელი ილია კივა აცხადებს, რომ ის პირადად დახვრეტს რადას იმ დეპუტატებს, რომელბიც 10 სექტემბერს უკრაინა-პოლონეთის საზღვარზე მიხეილ სააკაშვილთან დასახვედრად მივლენ.

**„მას იქ დახვდებიან სახალხო დეპუტატები. რუხი ახალი ძალა მასშტაბურ აქციას გეგმავს. მიაქვთ კარვები, საჭმელი, მიყავთ ხალხი მთელი უკრაინიდან, გააკეთებენ „მიშკა მაიდანს"...მათ ყველას ადგილზე დავხვრეტ! ყველას, ვისაც შეხება ექნება სახელმწიფო საზღვრის დარღვევასთან, როგორც ამას ჩვენ ვაკეთებდით და ვაკეთებთ აღმოსავლეთის ფრონტზე. კერძოდ კი იულია ტიმოშენკოს, სერგეი ლეშენკოს, სემიონ სემენჩენკოს, ვლადიმერ პარასიუკს, ევგენია მურაევას და სხვა მსგავს რუს აგენტებს, რომლებიც უკვე შეთანხმდნენ სააკაშვილთან პირდაპირ ტრანსლაციაზე ტელეარხ NewsOne-თან"** — აცხადებს ილია კივა.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს მესამე პრეზიდენტი და ოდესის ოლქის ყოფილი გუბერნატორი პოლონეთიდან კრაკოვეცის გამშვები პუნქტის გავლით უკრიანაში შესვლას 10 სექტემბერს გეგმავს.



3

## რამაზ საყვარელიძე:

# თბილისის მერობის საკითხი პირველსავე ტურში გადაწყდება!

## ვონიერთა მოსწრებული სიტყვა

ერთ-ერთი ინგლისური დეპარტამენტის უფროსის სიკვდილის შემდეგ ერთმა კარიერისტმა ჩინოვნიკმა მაშინდელ ინგლისის პრემიერს **უინსტონ ჩერჩილს** მიმართა:

— რა დაშავდებოდა, რომ გარდაცვლილის ადგილი დამეკავებინაო.

— არცრა საწინააღმდეგო არა მაქვსო, — მიუგო ჩერჩილმა. — მაგრამ ამ საკითხზე სასაფლაოს დირექტორს მიმართეთო.

* * *

იმ საზოგადოებაში, რომელშიც **ტრისტან ბერნარდი** ტრიალებდა, პასკალზე ჩამოვარდა სიტყვა. ერთ-ერთმა იქ მყოფმა თქვა, პასკალი ბავშვობაში გეომეტრიას წამლად იყენებდაო. როცა თავი სტკიოდა, გეომეტრიულ ამოცანებს იგონებდაო.

— ძალიან საგულისყუროა, — თქვა ტრისტან ბერნარდმა, — მე პირიქით ვიქცეოდი, ჩემს ბავშვობაში გეომეტრიულ ამოცანებს იმით ვებრძოდი, რომ თავის ტკივილს ვიგონებდი ხოლმეო.

* * *

ერთმა ახალგაზრდა დრამატურგმა თავისი ერთ-ერთი სერიოზული პიესის პრემიერაზე **შოუ** მიიპატიჟა. შოუს თითქმის ნახევარი სპექტაკლი ეძინა. სპექტაკლის დამთავრების შემდეგ აღელვებულმა ავტორმა დიდ დრამატურგს უსაყვედურა:

— რამ დაგაძინათ? ხომ იცოდით, ჩემთვის რაოდენ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა თქვენს აზრსო.

— მე სწორედ ძილით გამოვხატე ჩემი აზრიო, — მიუგო შოუმ.

* * *

**ლესინგი** ცნობილი იყო თავისი გონებაგაფანტულობით, ერთხელ საღამოს შინ რომ დაბრუნდა, თავისი სახლის კარზე დააკაკუნა.

— ბატონი პროფესორი შინ არ ბრძანდებაო, — მოესმა ზემო ფანჯრიდან მსახურის ხმა.

— რას ვიზამ, — თქვა ლესინგმა, — მეც ავდგები და სხვა დროს მოვალო.

* * *

დეტექტიური რომანების ავტორი **ედგარ უოელესი** მხოლოდ მაშინ წერს, როცა ეწევაო, — უთხრა შოუს ერთმა ნაცნობმა.

— არ შეიძლება, რომ ეგ კალმის მწვალებელი როგორმე მოწევას გადააჩვიოთო, — მიუგო შოუმ.

## ცხელ გულზე

# ბატონ ადღურ არძინბას!

**აფხაზეთის ეკონომიკის მინისტრის ადღურ არძინბას გამაოგნებელი ფრაზა ამოვიკითხე გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" (30 აგვისტო, 2017 წ.): „მხოლოდ შეშლილი თუ იფიქრებს აფხაზეთის საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნებას".**

ბატონო ადღურ! თქვენ სახელმწიფო მოხელე ბრძანდებით, ე. ი. აფხაზეთის მოსახლეობის უმცირეს, მატერიალურად უზრუნველყოფილ ჯგუფს წარმოადგენთ. აბა შეეკითხეთ რიგით აფხაზთა უმრავლესობას, ნამდვილ ბრძენ აფხაზს, რომელიც დიდ ეკონომიკურ სიდუხჭირეს განიცდის და რომლის ეროვნული შემადგენლობა კატასტროფულად მცირდება სხვა ერების ჩამოხეტების ხარჯზე, სურს თუ არა საკუთარი ერის მოსალოდნელი გაქრობა? სურს თუ არა, გაიზიაროს მოძმე უბიხების ბედი?

აფხაზთა გენის გადარჩენის ერთადერთი გზა ნებისმიერი სტატუსით თავის ისტორიულ ძმასთან, საქართველოსთან დაბრუნებაა, სადაც ათასობით შერეული ოჯახი ცხოვრობს, ორ ერს ერთმანეთი ერთნაირად უყვარს და თვალის ჩინივით უფრთხილდება. ამის მაგალითის საძებრად შორს წასვლა არ მოგიხდებათ. აჭარაში საუკუნენახევრის წინ დასახლებული აფხაზთა მცირე ჯგუფი არათუ გაქრა, არამედ შეეგუა მოძმე ხალხს, დაუმოყვრდა, გამრავლდა, შეინარჩუნა თავისი ენა, გვარი, ცნობიერება და რაინდული სული, რაც აგრერიგად ალამაზებს აფხაზ კაცს.



ბოდიშს გიხდით, ბატონ ადღურ, მაგრამ თქვენი ფრაზა უფრო ლოგიკური იქნება თუ შევაბრუნებთ: **„მხოლოდ შეშლილი თუ იფიქრებს საკუთარი ერის თვითმკვლელობას და უარს იტყვის აფხაზეთის საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნებაზე".**

**რამაზ სურმანიძე,**
მწერალი
ბათუმი. 30 აგვისტო, 2017 წ.

## დავით ნარმანია:

# ნაცების პირადი კეთილდღეობისთვის 1 მილიარდ ლარზე მეტი დაიხარჯა!



დედაქალაქის მერმა„ენმ"-ს მერობის კანდიდატის ზაალ უდუმაშვილის ბრალდებას უპასუხა და განაცხადა, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" მმართველობის პერიოდში, 4-5 წლის განმავლობაში, მათი კეთილდღეობისთვის 1 მილიარდ ლარზე მეტი დაიხარჯა:

**— ბოლო ერთი წლის განმავლობაში 22 მილიონი ლარით დავზოგეთ ადმინისტრაციული ხარჯები, რომლებიც დაკავშირებული იყო საწვავთან, დანამატებთან და სხვა ხარჯებთან. არ დაავიწყდეთ მათი მმართველობის ეპოქა, როცა ფუფუნებაში ცხოვრობდნენ, მე მაშინ ეკონომიკის ექსპერტი ვიყავი და კარგად მახსოვს, ვითვლიდი ამ ციფრებს, თუ მათ მეხსიერება ღალატობთ შემიძლია მივაწოდო ეს თანხები და გამოვუქვეყნო,** — განაცხადა დავით ნარმანიამ.

# ბიძინა ივანიშვილი მარტვილის კანიონს სტუმრობდა



ტურისტული კომპანია Lazika travel „ფეისბუქის" საკუთარ გვერდზე ბიძინა ივანიშვილის ფოტოებს აქვეყნებს. ივანიშვილი ფოტოზე უცხოელ ტურისტთან ერთადაა გადაღებული. ტურისტული კომპანიის ინფორმაციით, ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა 27 აგვისტოს მარტვილის კანიონი მოინახულა. ივანიშვილი მარტვილში მეუღლესთან ერთად იმყოფებოდა.

# გიორგი კვირიკაშვილი თურქმენეთს სტუმრობს

**საქართველოს პრემიერ-მინისტრის ოფიციალური ვიზიტი თურქმენეთში პრეზიდენტ გურბანგული ბერდიმუჰამედოვთან პირისპირ შეხვედრით დაიწყო.**

საუბრის მთავარი თემები სავაჭრო-ეკონომიკურ სფეროში თანამშრომლობის განვითარება, რეგიონული სატრანსპორტო პროექტები და სხვადასხვა სფეროში ორმხრივი ურთიერთობები იყო.

პრემიერ-მინისტრმა სავაჭრო-ეკონომიკურ სფეროში ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის მიმართულებით არსებულ დიდ პოტენციალზე ისაუბრა.

გიორგი კვირიკაშვილმა ასევე ისაუბრა კულტურულ-ჰუმანიტარულ, სამეცნიერო და საგანმანათლებლო სფეროში არსებულ თანამშრომლობაზე და იმედი გამოთქვა, რომ თურქმენეთის პრეზიდენტთან შეხვედრა ახალ იმპულსს მისცემს ორმხრივი ურთიერთობების განვითარებას.



პრემიერ-მინისტრის ვიზიტის მნიშვნელობასა და ორი ქვეყნის მრავალწლიან მეგობრულ ურთიერთობებზე გაამახვილა ყურადღება თურქმენეთის პრეზიდენტმა. გურბანგული ბერდიმუჰამედოვმა აღნიშნა, რომ დიპლომატიური ურთიერთობების 25 წლის განმავლობაში, ბევრი რამ გაკეთდა, როგორც ორმხრივ, ისე მრავალმხრივ ფორმატებში, რაც აისახა პოლიტიკურ, სავაჭრო-ეკონომიკურ და ჰუმანიტარულ-კულტურულ სფეროებზე.

**„ჩვენ მადლობელი ვართ, რომ მხარს უჭერთ თურქმენეთის, როგორც ნეიტრალური ქვეყნის საერთაშორისო ინიციატივებს, ღია კარის პოლიტიკას, ისეთ საკითხებთან დაკავშირებულ ინიციატივებს, როგორიცაა ენერგოუსაფრთხოება სატრანზიტო დერეფნის განვითარება და ა.შ. არსებობს სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობისა და სატრანზიტო დერეფნის განვითარების პოტენციალი, რაც ჩვენი ხალხების საკეთილდღეოდ უნდა გამოვიყენოთ. ჩვენ ვაფასებთ, რომ ორ ქვეყანას შორის ფუნქციონირებს ეკონომიკური თანამშრომლობის მთავრობათაშორისი კომისია და მადლობას გიხდით, რომ დღეს გაიმართება მისი მომდევნო სხდომა, რომელზეც განხილული იქნება მთელი რიგი მნიშვნელოვანი საკითხები“,** — განაცხადა თურქმენეთის პრეზიდენტმა.

გურბანგული ბერდიმუჰამედოვმა გიორგი კვირიკაშვილი მეხუთე აზიური თამაშების „აზიადა 2017“-ის გახსნაზე აშხაბადში კიდევ ერთხელ მიიწვია და აღნიშნა, რომ ცერემონიაზე ასევე მიწვეულია საქართველოს პრეზიდენტი.

# დავით ოქიტაშვილს პროფკავშირების გაერთიანების თავმჯდომარეობა სურს



დავით ოქიტაშვილს საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების თავმჯდომარეობა სურს. კულტურის პალატის პრეზიდენტი და ხელოვნების მუშაკთა პროფესიული კავშირის თავმჯდომარე აცხადებს, რომ ირაკლი პეტრიაშვილს დაამარცხებს.

**„2012 წლის მერე, როდესაც ახალი ხელისუფლება მოვიდა, მეგონა, რომ ის შეცვლიდა თავის მეთოდებს და პროფკავშირი თავის ხალხს დაუბრუნდებოდა. პირიქით, 2012 წლის მერე უფრო დიქტატორი გახდა. მე ვიბრძოლებ და დარწმუნებული ვარ, 15 თუ 16 სექტემბერს, არ ვიცი, კიდევ თუ არ შეცვალა ყრილობის თარიღი, მე მას დავამარცხებ,“** — განაცხადა დავით ოქიტაშვილმა. თანამდებობის შესანარჩუნებლად, პროფკავშირების მოქმედი ხელმძღვანელი ირაკლი პეტრიაშვილიც იბრძოლებს. მისი თქმით, დავით ოქიტაშვილის კანდიდატად გამოჩენა არის ხელისუფლების მიერ მის წინააღმდეგ წამოწყებული კამპანიის ნაწილი, მას შემდეგ, რაც ის რკინიგზას დაუპირისპირდა და მოშიმშილეებს მხარი დაუჭირა.

# თურქმენეთთან განვიხილავთ ეკონომიკური თანამშრომლობის ისეთ მნიშვნელოვან მიმართულებებს, როგორიცაა ვაჭრობა, ტრანსპორტი და ლოჯისტიკა

სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარების, რეგიონული სატრანსპორტო პროექტებისა და სხვადასხვა სფეროში ორმხრივი ურთიერთობების საკითხებს განიხილავენ თურქმენეთში, სადაც საქართველოს პრემიერ-მინისტრთან ერთად ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი გიორგი გახარია იმყოფება. მისი განცხადებით, თურქმენულ მხარესთან სამუშაო რეჟიმში განიხილება ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური ურთიერთობების სხვადასხვა პერსპექტიული მიმართულებები.

**„ჩვენ კიდევ ერთხელ სამუშაო რეჟიმში განვიხილავთ ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური ურთიერთობის ისეთ მნიშვნელოვან და პერსპექტიულ საკითხებს, როგორიც არის ვაჭრობა, ტრანსპორტი და ლოჯისტიკა, ასევე არის რამდენიმე ძალზედ მნიშვნელოვანი თემა, მათ შორის ქართველი მწარმოებლების შესვლა თურქმენულ ბაზარზე. ამ ვიზიტის ფარგლებში ასევე ხელი მოეწერება მთავრობათაშორის შეთანხმებას სახმელეთო ტრასპორტის მიმართულებით, რადგან ორ ქვეყანას შორის მოთხოვნა სატრანზიტო გადაზიდვებზე იზრდება“,** — განაცხადა გიორგი გახარიამ.

# ისევ ქრთამზე ალაპარაკდნენ

**დევნილთა და განსახლების სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამმართველოში დევნილები შეიქრნენ. ისინი ბინებით დაკმაყოფილებას ითხოვენ. დევნილები ამბობენ, რომ სამინისტრომ ბინები არა ქულების, არამედ ქრთამის აღების პრინციპით გაანაწილა. ისინი გზის გადაკეტვით იმუქრებიან.**

მინისტრის მოადგილე გიგა გიორგაძე აცხადებს, რომ რაიმე სახის ხარვეზების არსებობა გამორიცხული არ არის, თუმცა კომისია ყველა დევნილის უკმაყოფილებას მოისმენს და ეტაპობრივად დააკმაყოფილებს.

# <u>ეკა ბესელია:</u> როგორც ჩანს, საკონსტიტუციო ცვლილებებზე შეთანხმება შეუძლებელი იქნება

**ამ დროში, რაც დარჩენილია მესამე მოსმენამდე, როგორც ჩანს, საკონტიტუციო ცვლილებებზე შეთანხმება იქნება შეუძლებელი,** — ამის შესახებ პარლამენტის ადამიანის უფლებათა კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელიამ განაცხადა.

მისი განცხადებით, არავინ ამბობს უარს შეხვედრასა და დისკუსიაზე, თუმცა ოპოზიციური პარტიების მხრიდან რაციონალური მიდგომა არ არსებობს.



**„ჩვენ დავტოვეთ დიალოგის და დისკუსიის ღია სივრცე. ვცადეთ, რომ გამოყენებულიყო ყველა შესაძლებლობა კონსტიტუციის მესამე მოსმენით გადაწყვეტილების მიღებამდე, რომ ეს დრო გამოყენებული ყოფილიყო დამატებითი დისკუსიისთვის. სამწუხაროდ, ჯერჯერობით, არ ჩანს კონსტრუქციული მიდგომა და წინაპირობა რაიმე ტიპის კონსენსუსის. ჩვენი მხრიდან გადადგმული იქნა ყველა ნაბიჯი ამ შეთანხმებისთვის, მაგრამ, სამწუხაროდ, ამას არ მოჰყვა შემხვედრი რაციონალური გადაწყვეტილებები. ჯერჯერობით, მე ამ ეტაპზე ვერ ვხედავ, რა შეიძლება იყოს შეთანხმების დამატებითი სახით გამოყენებული. ამ დროში, რაც დარჩენილია მესამე მოსმენამდე, როგორც ჩანს, შეთანხმება იქნება შეუძლებელი“,** — განაცხადა ბესელიამ.

# <u>გიორგი მღებრიშვილი:</u> მეც ვფიქრობ, რომ ხანძარი შეიძლება ხელოვნურად იყოს გაჩენილი

საქართველოს შსს მინისტრი გიორგი მღებრიშვილი არ გამორიცხავს, რომ აბასთუმანში ხანძარი ხელოვნურად იყოს გაჩენილი. როგორც მინისტრმა ჟურნალისტებს განუცხადა, მას ამ ხანძართან დაკავშირებით კითხვები აქვს.



**„გამოძიება ყოველთვის მუშაობს ყველა ვერსიაზე. თუ ჩემი სუბიექტური აზრი გაინტერესებთ, მეც ვფიქრობ, რომ შეიძლება ხელოვნურად იყოს გაჩენილი, შეიძლება სხვა ფაქტორები იყოს... მე ამას ახლა ვერ გეტყვით. გამოძიება მიმდინარეობს, ყველა ვერსიაზე ვმუშაობთ, ყველა ვერსიას ამომწურავ პასუხს გავცემთ“,** — განაცხადა მინისტრმა.

# აბასთუმანში ხანძრის სალიკვიდაციო სამუშაოებში ქართულ დანაყოფებთან ერთად უკრაინის, აზერბაიჯანის, თურქეთისა და ირანის ავიაცია ჩაერთვება

**აბასთუმანში ხანძრის სალიკვიდაციო სამუშაოებში ქართულ დანაყოფებთან ერთად უკრაინის, აზერბაიჯანის, თურქეთისა და ირანის ავიაცია ჩაერთვება.**

პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილსა და უკრაინის პრეზიდენტ პეტრო პოროშენკოს შორის სატელეფონო საუბრის შემდეგ, საქართველოში უკრაინული სამაშველო თვითმფრინავი ჩამოფრინდა, რომელიც ხანძრის ჩაქრობის პროცესში გუშინვე ჩაერთო. დახმარების მზადყოფნა გამოთქვა და შსს-ს სასაზღვრო პოლიციის ვერტმფრენთან ერთად აბასთუმანში ცეცხლის ლოკალიზებაზე იმუშავებს აზერბაიჯანის ვერტმფრენიც. გუშინვე თურქეთიდან საქართველოში ორი ვერტმფრენი და ერთი თვითმფრინავი ჩამოფრინდა. ორი სახანძრო-სამაშველო ვერტმფრენით საქართველოს ირანის ისლამური რესპუბლიკაც დაეხმარა. აბასთუმანში მობილიზებულია შსს-სა და სხვა უწყებების შესაბამისი სამსახურები. ადგილზე 1000-მდე ადამიანი, ცოცხალი ძალა მუშაობს.

მთელი ღამე შეუჩერებელი მუშაობის შედეგად ხანძრის გავრცელების მასშტაბები არ გაზრდილა. გაჭრილია, დაახლოებით, 5 კილომეტრამდე გზა, რათა სპეცტექნიკამ ხანძრის კერებამდე მისვლა მოახერხოს. გუშინვე მოეწყო ხელოვნური წყალსაცავები ავიაციის მიერ წყლის ასაღებად.

# მაინც, რისთვის იბრძვის „თავისუფალი“ პროფლიდერი?!

ეკა ბესელიას ბრალდებაზე, რომ პროფკავშირების თავმჯდომარის უკან ნაციონალური მოძრაობა დგას, ირაკლი პეტრიაშვილი კომენტარს აკეთებს. როგორც მან მედიას განუცხადა ის იღებს „სახელისუფლებო მანქანის გამოწვევას“.

**„რითი არიან საზოგადოებისთვის ნაციონალურ მოძრაობაზე მეტნი? ჩვენი ერთადერთი მონაპოვარი პროფკავშირების დამოუკიდებლობაა. ხელში ჩაიგდეს მედია, ბიზნესი, ახლა პროფკავშირების ხელში ჩაგდებას ცდილობენ. ბესელია ერთ-ერთი მექანიზმია იმ სახელისუფლო მანქანის, რომელიც ჩართულია პროფკავშირების წინააღმდეგ ბრძოლაში — მისი დაპყრობის სურვილით. თუ ამ ხნის მანძილზე ბესელიას არ ჰქონია ასეთი აზრი და ასეთი განცხადებების კეთების სურვილი, ახლა ის საერთო შეთანხმების მსხვერპლია, რომელიც აბსურდულ განცხადებებს აკეთებს. რაში დაინახა ჩემი ნაციონალობა? იქნებ დაასაბუთოს. რა პასუხი უნდა გავცე ბესელიას, ფაქტია, სახელისუფლო მანქანა ამუშავდა ჩემი და პროფკავშირების წინააღმდეგ. პროფკავშირების მონაპოვარი დამოუკიდებლობაა ყველა პოლიტიკური ძალისგან — ვიღებ ამ სახელისუფლო მანქანის გამოწვევას და ვიბრძოლებ ბოლომდე“,** — განაცხადა პეტრიაშვილმა.

# კახეთში ვენახები დაიწვა

**თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ რუისპირში ხანძარი უკვე ლიკვიდირებულია, თუმცა დამწვარია რქაწითელისა და საფერავის ჯიშის ვენახები. რუისპირში ხანძრის ჩასაქრობად 3 სახანძრო ბრიგადა მუშაობდა.**



# რამაზ საყვარელიძე: თბილისის მერობის საკითხი პირველსავე ტურში გადაწყდება!

**ალექსანდრე ელისაშვილის მხარდასაჭერად ხელმოწერების შეგროვება მას შემდეგ დაიწყო, რაც ცესკომ ელისაშვილის ერთი კვირის ვადაში 10 ათასი ხელმოწერის წარსდგენა მოსთხოვა და ამისთვის მას მხარდაჭერა მისმა კონკურენტმა „ნაციონალური მოძრაობიდან“, ზაალ უდუმაშვილმა გამოუცხადა. ფსიქოლოგი და პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე აცხადებს, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ და ელისაშვილს სტილისტიკა ბევრი თვალსაზრისით ერთნაირია და იმის მიუხედავად, ენდომება თუ არა ალეკო ელისაშვილს, ამ მხრივ შეიძლება ადვილად იპოვონ საერთო.**

**— ბატონო რამაზ, ალეკო ელისაშვილი თვლის, რომ ცენტრალურ საარჩევნო კომისიას შეეძლო ხელმოწერების წარსადგენად ერთთვიანი ვადა მიეცა, მაგრამ მხოლოდ ერთი კვირა მისცა, შესაბისად თვლის, რომ ხელისუფლება ასეთი მეთოდით ებრძვის მას. ელისაშვილს მხარდაჭერა „ნაციონალური მოძრაობამ“ გამოუცხადა — დაეხმაროს, რათა უმოკლეს ვადაში შეაგროვოს 10 000 ხელმოწერა. დაეხმარო კონკურენტ კანდიდატს, ეს ახალი სტილია მსოფლიო პოლიტიკისთვის?**

**რამაზ საყვარელიძე:** არჩევნებში ლამის ყველაფერია დასაშვები, მაგრამ მე მგონია, რომ ამ შემთხვევაში არითმეტიკამ ითამაშა როლი. სხვა კანდიდატებისგან განსხვავებით ელისაშვილს აქვს შანსი, იმ ამომრჩევლის ხმები მიიღოს, ვინც არც ერთ პარტიას არ უჭერს მხარს, კონკურენტებთან შედარებით შეიძლება აღმოჩნდეს მომგებიან მდგომარეობაში.

თუ კონკურენტების მიზანი არის მხოლოდ ის, რომ ხელისუფლების კანდიდატს დაუპირისპირდნენ და ამას ამბობდა უდუმაშვილი — „ჩვენი მიზანია, შევცვალოთ ხელისუფლებაო“ — ამ სტრატეგიით თუ შევხედავთ, მაშინ გამორიცხული არ არის, რომ მათ გადაალოგონ თავიანთი მოქმედებები და იპოვინ ის, ვისაც ყველაზე მეტი შანსი აქვს. როგორც ჩანს, ამ ფაქტორის გამო უდუმაშვილმა ჩათვალა, რომ უფრო მეტი შანსი შეიძლება ჰქონდეს ელისაშვილს.

**— თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ NDI-ის კვლევის თანახმად ელისაშვილის და უდუმაშვილის პირადი რეიტინგები დაახლოებით თანაბარი იყო...**

— ამავე დროს, ამომრჩევლის დაახლოებით 30%-ზე მეტი არც ერთი პარტიისთვის არ აპირებს ხმის მიცემას. ამ ფონზე, ელისაშვილი როგორც იმ 30%-თან ასოცირებული პირი, შეიძლება უფრო მეტი შანსის მქონედ ჩათვალა ნაციონალურმა მოძრაობამ. აქ უკვე მოქმედებს ის პრინციპი, რომ „გავერთიანდეთ ყველა ერთის წინააღმდეგ“. ალბათ ამ შემთხვევაშიც მოქმედებს წინააღმდეგობის და დაპირისპირების მოტივით გაერთიანება.

**— თვითონ ფაქტი, რომ „ნაციონალურმა მოძრაობამ“ გამოუცხადა მხარდაჭერა და არა სხვა კანდიდატებმა, ეს აძლიერებს ამომრჩეველში იმის განცდას, რომ ელისაშვილი დაკავშირებულია არის ნაციონალურ მოძრაობასთან? მით უფრო, რომ ხშირად საუბრობენ ნაციონალების და ელისაშვილის კოჰაბიტაციაზე...**

— რა თქმა უნდა, ზაალ უდუმაშვილის ეს მხარდაჭერა პოლიტიკურ შინაარსს გულისხმობს. ელისაშვილი ამ შემთხვევაში ბრმა იარაღი შეიძლება აღმოჩნდეს ნაციონალების ხელში, რადგან თვითონ ხედავენ იმის პერსპექტივას, რომ ასეთ იარაღად შეიძლება ელისაშვილი გამოიყენონ. სხვა თუ არაფერი, სტილისტიკაა ბევრი თვალსაზრისით ერთნაირი, აგრესიული ტონი, ხმამაღალი განცხადებები, ადვილად წასვლა დაპირისპირებებზე და ა.შ. ეს უფრო ნაცების სტილისთვის არის დამახასიათებელი, ამ მხრივ შეიძლება ადვილად იპოვონ საერთო. ვიმეორებ: მიუხედავად იმისა, ეს ენდომება თუ არა ალეკო ელისაშვილს. აი ამ თვალსაზრისით, საერთოობამ შეიძლება შექმნას ასეთი გაუფორმებელი ალიანსი.

**— ელისაშვილი ამბობს, რომ მისი, როგორც რეალური კანდიდატის წინააღმდეგ, მიმდინარეობს პოლიტიკური ბრძოლა...**

— ყველა პოლიტიკოსი თავის თავზე ამბობს, რომ რეალური კანდიდატია.



ამას უნდა შევეჩვიოთ. მაგრამ ამ განცხადებების მიუხედავად, რეალურ კანდიდატად უნდა ჩავთვალოთ კახა კალაძე, სოციოლოგიური გამოკვლევებით მისი რეიტინგი ძალიან ახლოს არის 50%-იან ბარიერთან, უფრო დაშორებულია ელისაშვილი. გარდა ამისა, „ქართული ოცნება“ მაქსიმალურს გააკეთებს იმისათვის, რომ პირველ ტურში გადაწყდეს პრობლემა. მთავარია, რომ საზოგადოებამაც მაქსიმუმი გააკეთოს იმისათვის, რომ პირველ ტურში დამთავრდეს არჩევნები. პრობლემის მეორე ტურში გადატანა საზოგადოებისთვის არის სახიფათო.

**— რატომ?**

— სწორედ იმიტომ, რომ უკვე იკვეთება ალიანსი ნაციონალურ მოძრაობასა და ელისაშვილს შორის. ამიტომ, მეორე ტურში პრობლემის გადატანამ შეიძლება გააძლიეროს ნაციონალური მოძრაობა. ეს ცნობიერება არის მოსახლეობაში და რომც არ იყოს, უდუმაშვილის რეაქცია წესით ამაზე დაფიქრების საშუალებას იძლევა. ასე რომ სიზარმაცე, რაც ჩვევია ქართველ ამომრჩეველს და ადგილობრივ თვითმმართველობას, ისევე დაუშვებელია, როგორც 2014 წელს.

პასიურობა დაუშვებელია, მაგრამ მოსახლეობის ნაწილის პასიურობის შემთხვევაშიც კალაძე არის ყველაზე რეალური კანდიდატი. მისი პიროვნული რეიტინგი, მინისტრად ყოფის გამოცდილება, ის, რომ მის უკან გუნდია და მისი დაპირებების რეალიზაციისთვის მთელი გუნდი იმუშავებს, ეს ყველაფერი ზრდის იმის შანსს, რომ მერის თანამდებობაზე კალაძის პროდუქტიულობა მეტი იქნება.

**— რაც შეეხება სოციოლოგიურ კვლევას, 37% ამბობს, რომ არც ერთი პარტიის მიმართ არა აქვს სიმპათიები, 62%-მა არ იცის, ვის მისცემს ხმას. ამომრჩეველი, რომელიც აცხადებს, რომ არც ერთ პარტიას არ აძლევს ხმას და საერთოდ არ წავა არჩევნებზე... ეს ამომრჩეველი რამდენად სახიფათოა ხელისუფლებისთვის და მომგებიანი ოპოზიციისთვის, ამ შემთხვევაში — ელისაშვილისთვის? მით უფრო, რომ ამომრჩევლის იმედგაცრუება „ქართული ოცნებით“ აშკარაა.**

— როდესაც მოგახსენეთ, რომ პირველ ტურში დამთავრდება საკითხი და გაიმარჯვებს კალაძე-თქო, მოგახსენეთ სწორედ იმაზე დაყრდნობით, რომ ბევრი პრობლემა, რომელიც დაკავშირებულია „ქართულ ოცნების“ მოქმედებაში, გაუბედაობასთან, რიგ შემთხვევაში - უნიციატივობასთან და ა.შ. ეს ნიშნები კალაძეს ყველაზე ნაკლებად ახასიათებს. ყველა აღნიშნავს, რომ ის იყო ენერგიული მინისტრი. გარკვეული იმედგაცრუება „ქართული ოცნების“ მიმართ, რომ არ იყოს, ეს იქნებოდა გასაკვირი.

მაგრამ რაშიც კრიტიკულები არიან „ოცნების“ მიმართ, სწორედ იმ ხასითის მქონე ადამიანი, როგორც კალაძეა, მაგ მინუსებს უფრო შეამცირებს. რაც შეეხება იმედგაცრუებას — ბოლო ხანებში გამოქვეყნებულ ინფორმაციას შევხედოთ: საფრანგეთის პრეზიდენტმა მაკრონმა, რომელმაც სულ ცოტა ხნის წინათ გაიმარჯვა საპრეზიდენტო არჩევნებში, ახლა უკვე 14% აქვს მხარდაჭერა, დონალდ ტრამპზე არაფერს ვამბობ. რეიტინგებში მხარდაჭერის ვარდნა ტიპური მოვლენაა ყველგან, ყველა ქვეყანაში. ბუნებრივია, ამ კანონზომიერებას ვემორჩილებით ჩვენც.

უკვე ამომრჩევლის გამოცდილება გამოიხატება იმაში, იმოქმედოს არა იმდენად წარსულის საყვედურებისა და უკმაყოფილების საფუძველზე, არამედ იმის საფუძველზე, სად არის და რომელ კანდიდატშია დაგროვილი პრობლემების გადაწყვეტის რესურსი. თავის პიროვნული და ენერგიული ხასიათით, პრობლემების გადაწყვეტის რესურსი უფრო მეტად კახი კალაძეშია. სულ ცდილობს, მიიწევდეს წინ, ამ წინსვლაში პასუხისმგებელი არის თავის თავთან. ეს არის იმის გარანტია, რომ პოლიტიკურ ემოციებს ნაკლებად აყვება და პრობლემების გადაწყვეტაზე იქნება ორიენტირებული.

**— „სიცოცხლით სავსე ქალაქი“ — კახა კალაძემ საარჩევო კამპანია ამ სლოგანით დაიწყო. არსებული პოლიტიკური დაპირისპირების ფონზე, იმ ვითარებაში, როდესაც საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ხელისუფლება ებრძვის ხანძარს, იგივე რკინიგზელთა პროტესტი, რომელსაც ხელოვნურობა სდევს, კალაძე შეძლებს პირველივე ტურში გახდეს თბილისის მერი? არ ვსაუბრობ რეგიონებზე, სადაც მეორე ტურის ალბათობაზე საუბრობს ხელისუფლებაც...**

— რეგიონებში არ დგას ის პოლიტიკური ალტერნატივა, რაც თბილისში. იმ მხრივ, რომ იქ ნაციონალური მოძრაობის ფაქტორი შედარებით დასუსტებულია. თბილისში ნაციონალურმა მოძრაობამ მიიღო ისეთი სახე, რომელიც ლამის რევოლუციით ემუქრება ქვეყანას. ამიტომ, თბილისში სხვა პოლიტიკური ფონი გვაქვს. რაც შეეხება ამ მოვლენებს, რომელიც ბორჯომის ხეობაში და არა მარტო იქ განვითარდა, გვახსოვს, რომ არსებული მდგომარეობა ზოგს ახარებდა და ახარებდა ის, რომ თუ ხანძარი ვერ ჩააქრეს, ე.ი. ხელისუფლებამ წააგო.

ბუნებრივია, მათთვისაც ძვირფასია ბორჯომის ხეობა, მაგრამ იმდენად ძლიერია პოლიტიკური ინტერესი, რომ ივიწყებენ ქვეყანას. ასეთ ადამიანებს არაფერი არ შეცვლის, ისინი იარსებებენ. მაგრამ მთავარია ისინი, ვინც პოლიტიკური მოტივის გარეშე უყურებდნენ მოვლენებს. მათ დაინახეს ერთკვირიანი ბრძოლა ხანძართან, როცა ადამიანები საკუთარი სიცოცხლის ფასად ცდილობდნენ და ცდილობენ სტიქიასთან გამკლავებას. ამ პერიოდმა გამოაჩინა თანამშრომლობის უნარი სხვა ქვეყნებთან, ესეც ხელისუფლების ერთ-ერთი დამსახურებაა, როდესაც ის ახერხებს ამ მეგობრობის დროულად და კარგად გამოყენებას.



რაც შეეხება პირველ ტურს, კალაძის რეიტინგი ძალიან ახლოს არის 50%-თან. გავითვალისწონოთ ისიც, რომ მოსახლეობას არც ერთი კანდიდატისგან არ მოუსმენია დალაგებული პროგრამა. როგორც კი მოსახლეობა გაეცნობა პროგრამებს, მერე უკვე გაზომილი რეიტინგები დამაჯერებლად გვიჩვენებს, გადაწყდება თუ არა საკითხი პირველსავე ტურში.

ჩემი აზრით, ეს სწორედ პირველ ტურში გადაწყდება.

**თამთა ქარჩავა**

## ბათუმში უგზო-უკვლოდ დაკარგულთა საერთაშორისო დღე აღინიშნა

**30 აგვისტო უგზო-უკვლოდ დაკარგული ადამიანების საერთაშორისო დღეა. აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ ზურაბ პატარაძემ სოფლის მეურნეობის მინისტრთან ლაშა კომახიძესთან ერთად უგზო-უკვლოდ დაკარგულთა ხსოვნას პატივი მიაგო. ღონისძიება ბათუმში, ჯავახიშვილისა და ლორიას ქუჩების მიმდებარედ არსებულ სკვერში გაიმართა.**



**უგზო-უკვლოდ დაკარგულ ადამიანთა საერთაშორისო დღეს საქართველო 2011 წლიდან შეუერთდა. გასულ წელს ჯავახიშვილისა და ლორიას ქუჩების მიმდებარედ არსებულ სკვერში უგზო-უკვლოდ დაკარგულთა ხსოვნისადმი პატივსაცემად სიმბოლური მონუმენტი აღიმართა. სკვერში დაკარგულ მებრძოლთა ახლობლები, ნათესავები და მთავრობის წევრები შეიკრიბნენ.**

**30 აგვისტოს ღონისძიებები წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის მხარდაჭერითაა ორგანიზებული. ამ დღის მიზანია უგზო-უკვლოდ დაკარგულთა ხსოვნის უკვდავყოფა, მათი ოჯახების მხარდაჭერა და ფართო საზოგადოების იმ შედეგების შესახებ ინფორმირებაა, რაც ოჯახებისთვის ახლობელი ადამიანების გაუჩინარებას მოაქვს.**

**საქართველოში 1990-იანი წლებისა და 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად 2 300-ზე მეტი პირი ითვლება დაკარგულად.**

# სოსო ცინცაძე: აფხაზები თვითონ უნდა მიხვდნენ, რომ მათი ხსნა საქართველოშია!

**რუსეთი საქართველოს მიმართ კვლავ აგრძელებს „მათრახის და თაფლაკვერის“ პოლიტიკას, დახმარება შემოგვთავაზა ხანძრის ჩაქრობაში და ჩვენი უარით განაწყენებულიც კი დარჩა, მაშინ როდესაც ყოველდღიურად აგრძელებს ქართული მიწების მიტაცებას. გასულ კვირაში კი რუსეთმა და ოკუპირებულმა აფხაზეთმა ხელი მოაწერეს „ხელშეკრულებას“ აფხაზური მხარისთვის სამხედრო ქონების გადაცემის თაობაზე. „მოკავშირეობისა და სტრატეგიული პარტნიორობის ხელშეკრულების“ ფარგლებში. რას ნიშნავს რუსეთის ეს პოლიტიკა და რაშია გამოსავალი — ამ თემებზე ექსპერტი სოსო ცინცაძე გვესაუბრება.**

— სამხედრო ქონება მაინცდამაინც შეიარაღებას არ ნიშნავს, ეს შეიძლება იყოს უძრავი ქონება, სამხედრო ინფრასტრუქტურა და ა.შ. ეს არ არის საგანგაშო შემთხვევა, რადგან „თავისუფალი“ აფხაზეთი უკვე რუსეთის შემადგენელი ნაწილია ყოველმხრივ და როგორც უნდა, ისე მოიქცევა აფხაზეთში.

მთავარი ის არის, რომ ეს არის ამერიკა-რუსთის ურთიერთობის გამწვავების და თბილისში გაკეთებული მწვავე განცხადებების შედეგი.

არ გამიკვირდება ისიც, რომ ხვალ რუსეთმა აფხაზეთს უფრო მნიშვნელოვანი შეიარაღება გადასცეს. დღეს არ აძლევს იმიტომ, რომ აფხაზებს მისი მოვლის თავი არა აქვთ — გადაცემაც მხოლოდ ფორმალური იქნება.

რუსეთისთვის მთავარი ის არის, აჩვენოს ამერიკას, მთელ მსოფლიოს და ჩვენც, რომ მას სულაც არ აწუხებს არც სანქციები, არც განცხადებები და რუსეთი თავის პოლიტიკას არ შეცვლის და რომ თუ იქნება ზეწოლა რუსეთზე, უარესი წამოვა მისი მხრიდან.

**— ობამას დროს რუსეთსა და ამერიკას შორის იყო გადატვირთვის პოლიტიკა და ვიდრე უკრაინაში არ შევიდა, სულაც არ იგრძნობოდა, რომ რუსეთსა და ამერიკას შორის დაძაბული ურთიერთობაა. არც ამ პოლიტიკას გამოუღია საქართველოსთვის სასარგებლო შედეგი. ისიც გავიხსენოთ, რა პოლიტიკა ჰქონდა არჩეული საქართველოს ხელისუფლებას, თუმცა არც ამას შეუჩერებია რუსეთის მხრიდან მცოცავი ანექსიის პროცესი. გამოდის, რომ რუსეთზე არ მოქმედებს პოლიტიკის შეცვლა და ის აკეთებს იმას, რაც აქვს ჩაფიქრებული. ასეთ მოცემულობაში რა ბერკეტები არსებობს იმისათვის რომ რაღაც შეიცვალოს?**

— ამერიკის პოლიტიკა დღეს გათვლილია არა მყისიერ შედეგზე, არამედ პერსპექტივაზე. ჩვენთან გაკეთდა კიდეც დილეტანტური განცხადებები, რომ ეს რუსეთისთვის არაფერს ცვლის.

ამ ეტაპზე შესაძლოა, რუსეთისთვის ნაკლებად საშიშია, ორი წელია, რუსეთის ეკონომიკა გამოდის ამ რეცესიიდან და უკვე 2%-იანი ზრდაც კი შეინიშნება, მაგრამ პერსპექტივაში ეს არის ყელზე გამობმული მარყუჟი, რომელიც სულ უფრო უჭერს.

რუსეთს სხვა პრობლემებიც აქვს — ახლახან გამოქვეყნდა დემოგრაფიული სტატისტიკა — ყოველ 3 გარდაცვლილზე 2 ბავშვი იბადება! ეს ნიშნავს, რომ ერის კვდომის პროცესია დაწყებული — მიგრანტებიც კი ველარ შველიან საქმეს.

ძირითადი სანქციები მილსადენების წინააღმდეგაა, ძირითადად „ჩრდილოეთის ნაკადი 2“-ს ეხება და შესაძლოა, მოგვიანებით ამ პროექტის შეჩერებაც გამოიწვიოს, მაგრამ ეს არ იქნება დღეს და ხვალ.

კი, ბოლო 2 წელიწადში 7-დან 29 მილიარდამდე ავარდა ინვესტიციების მოცულობა, მაგრამ ამ სანქციების შედეგად რა მოხდება, როდესაც ინვესტორები მიხვდებიან, რა პერსპექტივა ელოდებათ? — ამიტომ ვამბობ, რომ ეს გრძელვადიანი პერსპექტივაა.

რაც მთავარია, ჩვენ ყოველთვის ცაიტნოტში ვართ და არ გვაქვს ამდენი ლოდინის დრო. შესაძლებელია რუსეთის ეკონომიკა 15-20 წლის შემდეგ მძიმე მდგომარეობაში ჩავარდეს. შეიძლება, შეიარაღების ფულიც აღარ ჰქონდეს და სერიოზულ დათმობებზე წავიდეს, როგორც ელცინის დროს იყო, მაგრამ მანამდე ჩვენ რა გვეშველება?!

მთავარი ხსნა იქნება ის, და ქართულმა დიპლომატიამ ამაზე უნდა იმუშაოს, რომ სამხედრო კავშირის რაიმე ფორმა მივიღოთ ამერიკასთან, როგორც ისრაელმა, იაპონიამ და ა.შ.

სანქციებში ნახსენებია, რომ ფინანსთა სამინისტრომ სახელმწიფო დეპარტამენტსა და კონგრესს უნდა წარუდგინოს ანგარიშები, რა ხდება აფხაზეთში, სამხრეთ ოსეთში, დნესტრისპირეთში, მაგრამ აქ ქართულმა დიპლომატიამაც უნდა იმუშაოს. ლობიზმი უნდა გააძლიეროს — სხვანაირად არც სანქციები გვიშველის და არც არაფერი.

**ქართულ მხარეს გაუჩნდა იმედი, რომ თუკი რუსეთი შეამცირებდა კონფლიქტური რეგიონების ბიუჯეტებს, საქართველოს გაუჩნდებოდა შანსი, ეკონომიკური კავშირების გაბმით ნელ-ნელა დაეწყო ურთიერთობების აღდგენა. შესაძლებელია, ეს რეალურ ბერკეტად განიხილებოდეს?**

— ჩვენთვის არა გვაქვს ეკონომიკა და აფხაზებს და ოსებს რა უნდა შევთავაზოთ? ჯერ ჩვენთვის შევქმნათ ეკონომიკა, რომ ცალი თვალით მაინც გამოიხედონ აქეთ.

ატმის მოსავალი მოდის და ლპება; ეკონომიკის მინისტრი ქარხანას ხსნის და რამდენიმე თვეში ამ ქარხანას დიდი ბოქლომი ადევს; კი, ტურიზმი კარგია, მაგრამ არც ერთი ქვეყანა არ აშენებულა ამით და ვერც იმდენი ფული შემოვა, რომ მთელი წელი გეყოს. თან, რაც შემოდის, ისიც ხელფასებში და დანამატებში იხარჯება.

გარდა ამისა, თვითონ რუსები არ მიგვიშვებენ არც აფხაზებთან და არც ოსებთან. დღეს თვითონ საქართველოს უჭირს და მოსახლეობის დიდი ნაწილი შიმშილით კვდება და რაში აწყობთ ეს აფხაზებს? რუსეთი ინახავთ, პენსიებსა და ხელფასებს უხდის.

**— არსებობს დაუზუსტებელი ცნობა, რომ პრიმორსკის მიდამოებში პორტის მშენებლობა იწყება — შეიძლება ეს იყოს პასუხი ანაკლიაში ამერიკული კომპანიის შემოსვლაზე?**

— ყურმოკვრით გამიგია, რომ რაღაც მსგავსი პროექტი არსებობს, თუმცა ჯერ ის არის გასარკვევი, რამდენად რეალური ინფორმაციაა, თეორიულად კი - რატომაც არა, შესაძლებელია, მაგრამ ერთი რამ უნდა გვახსოვდეს: თუკი ის სანქციები, რაც დაუწესეს რუსეთს, ზედმიწევნით შესრულდა, ათი პორტიც რომ ააშენოს რუსეთმა აფხაზეთში, ყველა მათგანი სანქციების სიაში მოხვდება.

ეს სანქციები იმით არის განსხვავებული, რომ დეტალურად განიხილება კონკრეტული შემთხვევები, ადამიანები, კომპანიები, ვისთან არიან კავშირში, პუტინთან როგორ არიან დაკავშირებული და ა.შ.

რუსეთს თვითონ უჭირს ფული, მაგრამ ხომ ხედავთ ყირიმში რამხელა ხიდს აშენებს? აფხაზეთშიც შეიძლება რაღაც მსგავსი პროექტი წამოიწყოს, მაგრამ დაუდასტურებელ ინფორმაციაზე ბევრსაც ნუ ვილაპარაკებთ.

მთავარი ის არის, რომ აფხაზურ ელიტას ჩვენკენ გამოხედვა არ უნდა. რაღაც



კონტაქტები არსებობს, მაგრამ ეს ყველაფერი ლირიკაა. ამ ხალხს, როგორც ჩანს, არ ახსოვს, როგორი დამოკიდებულება იყო კომუნისტების დროს.

არც ერთი აფხაზი ისტორიკოსი დისერტაციას თბილისში არ იცავდა, ერევანში მიდიოდა იმიტომ, რომ ყველა დისერტაცია ანტიქართული იყო. არადა, ქართველი მეცნიერები გადაყოლილი იყვნენ აფხაზებზე. ამ დროს აფხაზები ქართულად არ დაგველაპარაკებოდნენ.

ნუ გგონიათ, რომ ომის შემდეგ აირია სიტუაცია და მტრები გავხდით. შესაძლოა, ოდესმე, შორეულ წარსულში ვიყავით მეგობრები, მაგრამ არა კომუნისტების დროს.

**— ეს რუსული პოლიტიკის შედეგი იყო?**

— რა თქმა უნდა... საქართველოს მეცნიერებათა აკადემიიდან მივლინებით რომ ვიყავი მოსკოვში, მეცნიერები დამესივნენ და აფხაზ ასპირანტებს ითხოვდნენ. თავიდან ვერ მივხვდი, მაგრამ შემდეგ აღმოჩნდა, რომ ეს მათთვის იყო უფასო დასვენება ზღვაზე და მთელი ზამთარი ციტრუსები საჩუქრად.

კრემლს, ბუნებრივია, თავისი პოლიტიკა ჰქონდა, მაგრამ ეს უბრალოდ, თვალსაჩინოებისთვის. რა ხდებოდა მაშინდელ სამეცნიერო და ინტელიგენციის წრეებში... საბჭოთა პოლიტიკა იყო, რომ მაგალითად, ცნობილ ალპინისტს, მიხეილ ხერგიანს ეროვნების გრაფაში ჩაეწერა სვანი, რადგან სხვაგვარად,უცხოეთში არ გაუშვებდნენ.

ომის შემდეგ უბრალოდ, ამოიფრქვა ის, რაც თავის დროზე ჩადო რუსეთმა აფხაზურ ელიტაში და ამიტომ სულ სხვა პოლიტიკაა მათთან საჭირო.

შერიგების პოლიტიკა და „ჩვენ ძმები ვართ“, მხოლოდ სადღეგრძელოებში შეიძლება ვთქვათ — რეალობასთან ამას საერთო არაფერი აქვს — მე პოლიტიკოსი არ ვარ და შემიძლია, რაც მინდა, ის ვთქვა: კომუნისტების დროიდან აფხაზები ძმებად არ აღგვიქვამდნენ.

**— ანუ მათთან ურთიერთობის რესურსი არ არსებობს?**

— მათთან ურთიეთობები შესაძლებელია, მაგრამ პრაგმატულ დონეზე. აფხაზები უნდა მიხვდნენ, რომ რუსების ხელში ისინი, როგორც ეთნოსი, საერთოდ გაქრებიან ისე, როგორც გაქრა ასობით მცირე ერი ციმბირში. როდესაც ციმბირი დაიპყრეს, 140 ერი ცხოვრობდა ამ ტერიტორიაზე ახლა მხოლოდ ჩუქჩები და კალმიკები დარჩნენ. ეს ელის აფხაზებსაც.

რეალურად, მათი გადარჩენის შანსი მხოლოდ საქართველოშია. მთავარია, თვითონ დაინახონ ეს. დღეს უკვე სომხები დევნიან ნელ-ნელა თანამდებობებიდან. 80-იანი წლებიდან დაიწყეს სომხების ჩასახლება — გვიანღა მივხვდით, რაც ხდებოდა - გვიყვარს ქართველებს სირაქლემას პოზაში ყოფნა და ყველაფერზე თვალის დახუჭვა.

სიმართლე ის არის, რომ ამ პოლიტიკით აფხაზებისთვის მიმზიდველები არ ვართ — როგორც ჩვენთვის ნატოა მიმზიდველი და ვიცით, რომ ნატოშია ჩვენი ხსნა, ასეთი განცდა უნდა შეექმნათ აფხაზებსაც - მიხვდნენ, რომ მხოლოდ საქართველოშია მათი ხსნა.

**ესაუბრა**

**ლალი ზირაქიშვილი**

**შერიგების პოლიტიკა და „ჩვენ ძმები ვართ“, მხოლოდ სადღეგრძელოებში შეიძლება ვთქვათ — რეალობასთან ამას საერთო არაფერი აქვს — მე პოლიტიკოსი არ ვარ და შემიძლია, რაც მინდა, ის ვთქვა: კომუნისტების დროიდან აფხაზები ძმებად არ აღგვიქვამდნენ.**

## ბრალდებები და ბრალდებულის კომენტარები

**„ეს არის ტყუილი და ცილისწამება“, — ასე ეხმაურება ბორჯომის გამგებელი დიმიტრი ყიფიანი მისი მისამართით გაჟღერებულ ბრალდებას „ჯი-ეიჩ-ენ-თან“ საუბარში.**

„მე გავაჩინე ხანძარი? ეს არის ტყუილი და ცილისწამება. ვერანაირ კომენტარს, ამასთან დაკავშირებით, ვერ გავაკეთებ, ამ ცრუ განცხადებაზე პასუხი თვითონ აგოს“, — აცხადებს „ჯი-ეიჩ-ენ-თან“ დიმიტრი ყიფიანი.



შეგახსენებთ, რომ ბორჯომში მცხოვრები მოქალაქის პაატა ჯავახიძის მტკიცებით, ის ყიფიანის სატელეფონო საუბარს შეესწრო, რომლის თანახმადაც, „ცეცხლი მეტი საჭირო არ იყო და ისიც, რაც იყო, ზედმეტი მოუვიდათ“.

დიმიტრი ყიფიანი სამოძიებო უწყებაში ჯერ არ დაუბარებიათ. პაატა ჯავახიძე კი სამართალდამცავებს რამდენიმე საათის განმავლობაში ჩვენებას აძლევდა.

## ზაალ უდუმაშვილის ბრიფინგზე ინციდენტი მოხდა

**ენმ-ის მერობის კანდიდატ ზაალ უდუმაშვილის ბრიფინგზე, მერიასთან, ინციდენტი მოხდა. უდუმაშვილი მაჟორიტარობის კანდიდატებთან ერთად საკუთარ ინიციატივას წარადგენდა მერიაში ბიუროკრატიული ხარჯების შემცირებასთან დაკავშირებით, როდესაც ერთ -ერთმა მოქალაქემ ბრიფინგის ჩაშლა სცადა, შეძახილებით: „მეცოცხეებო“.**

ინციდენტს საპატრულო პოლიციის მხრიდან დროული რეაგირება მოჰყვა. მოქალაქე სამართალდამცავებმა ტერიტორიიდან გაიყვანეს.

რაც შეეხება უდუმაშვილის განცხადებას, მისი თქმით, მერის არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში ბიუროკრატიული ხარჯების, პრემია-დანამატებისა და ავტოპარკისთვის გამოყოფილი ხარჯების შემცირებით, სოციალურ პროექტებს დააფინანსებს.

## მოსკოვი გაიძვერა სეპარატისტებს თავს არ დააშანტაჟებინებს!

**რამდენიმე დღის წინათ, აფხაზ სეპარატისტთა ერთ-ერთმა ისტორიულმა ლიდერმა, ვლადისლავ არძინბას ბავშვობის მეგობარმა, 1989 წელს აფხაზეთის ანტიქართული „სახალხო ფრონტის“ („აიდგილარას“) დამფუძნებელმა სერგეი შამბამ რუსულ საინფორმაციო სააგენტოსთან ინტერვიუში ძალიან საინტერესო დეტალები გაიხსენა 2008 წლის 26 აგვისტომდე (ე.წ. დამოუკიდებლობის“ აღიარებამდე) მიმდინარე დიპლომატიური მოლაპარაკებებისა, რომლის შედეგად „პოსტსაომარი“ ამიერკავკასიის გეოპოლიტიკური ფორმატი უნდა განსაზღვრულიყო, ანუ საქართველოს და მისი ყოფილი ავტონომიების ბედი გადაწყვეტილიყო.**

**რამდენადაც შეიძლება „ისტორიული“ იყოს ისტორიულ მოვლენათა შესახებ ინტერვიუ, შამბას ეს „გამონათება“ სწორედაც „ისტორიული დოკუმენტია“ და არათუ წარსულის სწორი გააზრების, არამედ დღევანდელი პრაგმატიზმის გაკვეთილიცაა — თუ როგორ უნდა ავაგოთ ურთიერთობა რუსეთთან და რატომ არის ამ ქვეყანასთან რაიმე კომპრომისი (თუ „კომპრომისში“ კაპიტულაცია არ იგულისხმება) აბსოლუტურად შეუძლებელი.**

**რას ყვება სერგეი შამბა, რომელსაც მაშინ (რუსული აგრესიის დროს) აფხაზეთის საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი ეკავა? როგორც აღმოჩნდა, მოსკოვი, მიუხედავად სამხედრო გამარჯვების და ორივე ყოფილ ავტონომიაში მოწყობილი ეთნოწმენდისა, სულაც არ ჩქარობდა აფხაზეთის და „სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის“ აღიარებას: პუტინის დავალებით, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ შეიმუშავა პროექტი, რომლის თანახმადაც, იქმნებოდა „აფხაზეთ-„სამხრეთ- ოსეთის“ კონფედერაცია (?!), რომელსაც მომავალში, ოდესმე შეიძლებოდა მიერთებოდა საქართველოც (?!!!). უეჭველად იგულისხმებოდა ის პერიოდი, როცა მიხეილ სააკაშვილი აღარ იქნებოდა საქართველოს პრეზიდენტი, ქვეყნის სათავეში მოვიდოდნენ ე.წ. „პრორუსული“ ძალები და საქართველოც, „ახალი სუბიექტის“ სტატუსით შეუერთდებოდა აფხაზურ-ოსურ კონფედერაციას! ასე ჩამოყალიბდებოდა რუსეთისადმი „მეგობრული“ (ანუ მისდამი სატელიტური) „ამიერკავკასიის კონფედერაცია“.**

# როცა კუდი ძაღლს აქიცინებს

### თურმე რას გვთავაზობდა მოსკოვი 2008 წელს და რა მიიღო რეალურად...



ყველაზე საინტერესო აქ ისაა, რომ როგორც შამბას ინტერვიუდან ირკვევა, პრეზიდენტი დიმიტრი მედვედევი, ვისაც რეალურად მაშინ ბევრი არაფერი ეკითხებოდა და უბრალოდ პუტინის მითითებებს ასრულებდა, ამ „კონფედერაციას“ აფხაზებსა და ოსებს სთავაზობდა არა მათი დამოუკიდებლობის აღიარების შემდეგ ან არა ამ დამოუკიდებლობის აღიარების პარალელურად, არამედ მათი დამოუკიდებლობის აღიარების სანაცვლოდ!

მაშასადამე, ფორმულა ამგვარი იყო: ჩვენ გადაგარჩინეთ, ახლა გთხოვთ, გაითვალისწინოთ რუსეთის გრძელვადიანი ინტერესები — რაკი არ გვაწყობს საქართველოს სამუდამოდ დაკარგვა, გთხოვთ, გაერთიანდეთ „კონფედერაციაში საქართველოსთან“. მანამ, სანამ იქ სააკაშვილია, რა თქმა უნდა, არანაირი გაერთიანება არ მოხდება, მაგრამ ჯერ თქვენ შექმენით „აფხაზურ-ოსური კონფედერაცია“ და მომავალში, როცა საქართველოს ხელისუფლება შეიცვლება, მას საქართველოც შემოუერთდება.

შამბა ყვება, რომ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში, სერგეი ლავროვის მონაწილეობით, 12 აგვისტოდან 26 აგვისტომდე (ანუ მოსკოვის მხრიდან მათ აღიარებამდე) მოლაპარაკებების რამდენიმე რაუნდი გაიმართა. რუსეთის უშიშროების საბჭოზეც კი განუხილავთ ეს პროექტი — ბაღაფშისა და კოკოითის მონაწილეობით. მოსკოვი უკანასკნელ მომენტამდე ცდილობდა, დაერწმუნებინა სეპარატისტები, მიეღოთ ეს ფორმულა, ანუ ჯერ თვითონ გაერთიანებულიყვნენ კონფედერაციაში და შემდეგ, „ოდესმე“ ამ კონფედერაციას „მიშას გარეშე საქართველოც“ შემოუერთდებოდა. თან, რაც ყველაზე ნიშანდობლივია, ეს წინადადებები დაჟინებით გამოითქმოდა უკვე მაშინ, როცა ცხადი გახდა, რომ მიშა რჩებოდა ხელისუფლებაში და თბილისში ხელისუფლების „დამამხობელი ტალღის“ აგორება ვერ მოხერხდა.

25 აგვისტოს, ესე იგი აღიარებამდე 1 დღით ადრე, სოჭის „ბოჩაროვ რუჩეის“ რეზიდენციაში გამართულ მოლაპარაკებებზე, „კლიენტებმა“ — პატრონს საბოლოო უარი სტკიცეს და პრეზიდენტმა მედვედევმაც „თავის მოფხანით“ მიუგო: „რაკი არ დაგვთანხმდით, ჩვენც სხვა გზა აღარ გვრჩება და... იძულებული ვართ, ვცნოთ თქვენი დამოუკიდებლობა“.

ისტორიული ანეკდოტია! ანგლოსაქსებს სწორედ ამაზე უთქვამთ Tail wagging the dog — კუდი ძაღლს აქიცინებსო.

* * *

**აქვე აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ამ ისტორიას არავითარი კავშირი არა აქვს ყბადაღებულ „სარკოზი-მედვედევის შეთანხმებასთან“.** მოსკოვი „კონფედერაციის“ წინადადებას უკვე მას შემდეგაც გამოთქვამდა სეპარატისტებთან შეხვედრისას, რაც მიშამ შეცვალა (და სწორადაც მოიქცა!) „პარიზ-მოსკოვის შეთანხმების“ ის პუნქტი, რომელიც აფხაზეთის და „სამხრეთ ოსეთის“ სტატუსის თაობაზე საერთაშორისო მოლაპარაკებათა გამართვას გულისხმობდა.

სინამდვილეში, ეს პუნქტი მოსკოვის მხრიდან „არაღიარების“ არანაირ გარანტიას არ ქმნიდა, რაკი კრემლში ყოველთვის შეეძლოთ, ეთქვათ, რომ საქართველომ ამით თავად აღიარა სადავოდ ავტონომიათა სტატუსი და მოსკოვი უბრალოდ თავის პოზიციას გამოხატავს მათი „დამოუკიდებლობის“ თაობაზე.

სინამდვილეში, სეპარატისტული ტერიტორიების აღიარება-არაღიარება სარკოზი-მედვედევის შეთანხმებაზე ან თუნდაც მიშას იმ მომენტში დარჩენა-არდარჩენაზე კი არ იყო დამოკიდებული, არამედ იმაზე, მოახერხებდა თუ არა მოსკოვი საკუთარი „კლიენტურის“ დარწმუნებას, მოეწერათ ხელი „კონფედერაციაზე“.

ვიმეორებ: მიშას არავინ არაფერს სთავაზობდა, რაკი „პუტინის პროექტი“ გულისხმობდა აფხაზეთ-სამხრეთ ოსეთის კონფედერაციას და მერე, ოდესმე, მომავალში საქართველოს „შეტყუებას“ ამ კონფედერაციაში. თუმცა, როგორც ჩანს, სეპარატისტები მოსკოვს დაემუქრენ, რომ რუსულ მედიაში ატეხდნენ გნიასს, „ღალატში“, „მოკავშირეების ჩაბარებაში“, „დასავლეთისადმი კაპიტულაციაში“ დაადანაშაულებდნენ მედვედევს, ოსტატურად ითამაშებდნენ რუსული შოვინისტური საზოგადოების ემოციებზე და სერიოზულ პრობლემებს შეუქმნიდნენ პუტინ-მედვედევის ტანდემს.

არადა, ეს პროექტი მოსკოვმა შეიმუშავა საკუთარი გრძელვადიანი ინტერესებიდან გამომდინარე (და არა ქართველების სიყვარულით), რათა საქართველო მომავალში თავის ორბიტაზე დაებრუნებინა.

* * *

**ამავე პროექტს სთავაზობდა კრემლი ედუარდ შევარდნაძეს 1990-იან წლებში: „ქართულ-აფხაზური კონფედერაციის“ ან „ორსუბიექტური ფედერაციის“ (ჩეხეთ-სლოვაკეთის მსგავსად) თემა აქტიურად განიხილებოდა 1997 წელს, როცა ევგენი პრიმაკოვმა თბილისში ჩამოიყვანა ვლადისლავ არძინბა.**

ცოტამ თუ იცის, რომ ედუარდ შევარდნაძემ მაშინ თანხმობა განაცხადა საქართველოს ქცევაზე ჩეხეთ-სლოვაკეთის მსგავს გაერთიანებად და სწორედ არძინბამ უარყო საბოლოოდ, რადგან შეთანხმება სოხუმსა და გაგრაში ქართველი ლტოლვილების დაბრუნებას გულისხმობდა.

კრწანისში გამართულ მოლაპარაკებებზე არძინბამ თქვა: „ეს პუნქტი ამოვიღოთ და ახლავე ხელს ვაწერო“. არადა, ლტოლვილთა დაბრუნების გარეშე ამ ხელშეკრულებას საქართველოსთვის არანაირი ღირებულება აღარ ჰქონდა.

2008 წელს „ლტოლვილებზე“ საერთოდ აღარ ყოფილა ლაპარაკი, მაგრამ სეპარატისტებმა ამაზეც კი არ მოაწერეს ხელი.

* * *

**რას გვასწავლის მთელი ეს ისტორია?** იგი ერთმნიშვნელოვნად ადასტურებს, რომ **ყველა ილუზიაა, თითქოს მთავარია, გავიგოთ, „რა უნდა რუსეთს“, „რაში მდგომარეობს მოსკოვის ინტერესები“ და შემდეგ ამ ინტერესებთან ჩვენი ეროვნული ინტერესების „კორელაცია“-„კონვერგენცია“ ვცადოთ, არის მტკნარი სისულელე! არასდროს მოსკოვი არ გადადგამს და ვერ გადადგამს ისეთ ნაბიჯს, რაც სერგეი შამბასა და სხვა გაიძვერა სეპარატისტებს მისი შანტაჟირების საბაბს მისცემს.**

ანუ კრემლი, მისი თითქოსდა „ყოვლისშემძლეობის“ მიუხედავად, თავად აღმოჩნდა მის მიერვე მოქსოვილ „ობობას ქსელში“, როცა საკუთარ კლიენტურასაც კი ვეღარ მართავს ისე, როგორც მას უნდა და სჭირდება მისივე გრძელვადიან ინტერესთა გათვალისწინებით.

არადა, 2008 წელს მოსკოვს არაფრის დიდებით არ აძლევდა ხელს (სინამდვილეში) აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარება. ოღონდ მარტო იმიტომ კი არა, რომ ამით საქართველოს სამუდამოდ კარგავდა, არამედ **იმიტომაც, რომ დამოუკიდებელი, საერთაშორისოდ აღიარებული აფხაზეთი, რუსეთის სამხრეთ საზღვრებთან ისტორიული ადიღურ-ჩერქეზული პრობლემის განახლების „პლატფორმად“ იქცევა უეჭველად. დღეს იქნება თუ 50 წლის მერე, ეს აუცილებლად მოხდება.**

და თვით შამბას ეს ინტერვიუც, იმ ფარული ბრძოლის გამოხატულებაა, რაც მოსკოვსა და სოხუმს შორის მიმდინარეობს, რადგან სხვა საკითხია, რამდენად შეიძლება ეწოდოს შამბას „დიპლომატი“, თუმცა დიპლომატიური მოლაპარაკებების შინაარსის „გარეთ გამოტანა“ და „გამომზეურება“ ელემენტარული ნორმისა თუ ეთიკის დარღვევაა: უბრალოდ, **აფხაზი სეპარატისტები ამით ისევ აშანტაჟებენ მოსკოვს, რომელიც ახლა მათ „აწვება“ აფხაზეთში მიწების და ბინების ყიდვა-გაყიდვის თემაზე.**

შამბა ადრეც „ანამიოკებდა“ რუსულ მედიასთან, რომ თუ კრემლი მეტისმეტად „მიაწვებოდათ“, ისეთ რამეს იტყოდა და „გამოამზეურებდა“, რაც მოსკოვს ძალიან უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენებდა თვით რუსული საზოგადოების თვალშიც. ამიტომაც მალავდნენ დღემდე რუსი დიპლომატები იმ საიდუმლო მოლაპარაკებათა თემატიკას.

ჩვენთვის კი ეს ისტორია უნდა ნიშნავდეს ერთადერთს: **არავითარი აზრი მოსკოვთან მოლაპარაკებას არა აქვს. მისი გარეგნული „ძლევამოსილების“ მიუხედავად, ეს არის ნაციონალისტური და იმპერიული ნარატივის ჩიხში უიმედოდ მოქცეული სახელმწიფო და მასთან კომპრომისი გამორიცხულია იმ შემთხვევაშიც კი, თუ ოდესმე საქართველოს სათავეში აბსოლუტურად „პრორუსული“ ტიპაჟი აღმოჩნდება.**

**ნიკა იმნაიშვილი**

## დემირელის კოლეჯის მასწავლებლები და მოსწავლეები კერძო სკოლებში გადანაწილდებიან

**განათლების სამინისტრო დემირელის კოლეჯის მასწავლებლებსა და მოსწავლეების საგანმანათლებლო დაწესებულებებში გადაანაწილებს.**

**„დემირელის კოლეჯს ჰქონდა დარღვევები, თუმცა ამავდროულად ჰყავდა ძალიან კარგი მოსწავლეები და კომპეტენტური მასწავლებლები. ჩვენ ყველა პირობას შევქმნით, რომ მათი სხვა სკოლებში გადანაწილების პროცესი მაქსიმალურად უმტკივნეულოდ წარიმართოს. რამდენიმე კერძო სკოლასთან ვა-**




**წარმოებთ მოლაპარაკებებს, მათ უკვე გამოთქვეს მზაობა, რომ მიიღონ დემირელის კოლეჯის მოსწავლეები და მასწავლებლები. გადაწყვეტილების შესახებ საზოგადოებას უმოკლეს პერიოდში ვაცნობებთ,“ — განაცხადა სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელმა ნატა ასათიანმა.**

**დემირელის სახელობის კოლეჯმა ავტორიზაცია ვერ გაიარა. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ინფორმაციით, კოლეჯში დარღვეული იყო სამივე სტანდარტი — ინფრასტრუქტურის, რესურსებისა და პერსონალის მიმართულებით.**

# წელს „ზუგდიდობა“ არ გაიმართება

**გასული წლის სექტემბერში დაფუძნებული დღესასწაული „ზუგდიდობა“ წელს არ გაიმართება. ქალაქის მერიამ ეს გადაწყვეტილება მწირი ფინანსური რესურსებით ახსნა. ინფორმაციის გავრცელებას სოციალურ ქსელში მოქალაქეთა უკმაყოფილება მოჰყვა. პარალელურად, საკითხი მწვავე მსჯელობის საგანი გახდა ქალაქის საკრებულოს სხდომაზეც.**


Tamar Zantarala (RFE/

საბოლოოდ, უმრავლესობის გადაწყვეტილებით, „ზუგდიდობისთვის“ გასულ წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი 70 ათასი ლარი სხვადასხვა მუხლებზე გადანაწილდა. საკითხს მხარი არ დაუჭირეს ეკონომიკისა და ურბანული განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ თენგიზ ქოჩუამ, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ თენგიზ ხარჩილავამ და პარტია „ევროპული საქართველოს“ წარმომადგენელმა ბათლომე შელიამ.

თენგიზ ქოჩუას განცხადებით, შარშან დაფუძნებული დღესასწაული, რომელსაც მაშინ ოპოზიციური პარტიებიც კი მიესალმნენ, წელსაც აუცილებლად უნდა გამართულიყო. მით უფრო, როგორც ეკონომიკისა და ურბანული განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე განმარტავს, ქალაქის ბიუჯეტში საამისოდ თანხა გათვლილი იყო, რაც სრულიად საკმარისი იქნებოდა დღესასწაულის ხარჯებისთვის:

**„ბიუჯეტში თანხა ამისთვის რომ არ ყოფილიყო გათვალისწინებული, კიდევ სხვა საკითხია, მაგრამ, რეალურად, იყო გათვლილი და ის გადავიდა სხვა მუხლებში“,** — განაცხადა თენგიზ ქოჩუამ.

შესაბამისად, მისთვის გაუგებარია უმრავლესობის არგუმენტი, რომ დღესასწაული საჭირო თანხების არქონის მიზეზით გაუქმდა. ეს არგუმენტი ასევე მიუღებელია საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის თენგიზ ხარჩილავასთვისაც. მისი აზრით, რადგან ამ დღესასწაულის აღნიშვნას საფუძველი ჩაეყარა, წყვეტა არ უნდა ჰქონოდა.

**„თუნდაც ის ფაქტი, რომ შარშან „ზუგდიდობის“ დღესასწაულზე საპატიო ზუგდიდელობა მიენიჭა რამდენიმე პირს და რაღაც ღონისძიებები ჩატარდა, თუნდაც ეს რომ გაკეთებულიყო და ამისთვის გამიზნული 70 ათასი ლარი გამოყენებულიყო ამ მიმართულებით, არაფერი დაშავდებოდა“,** — დაიჩივლა თენგიზ ხარჩილავამ.

უმრავლესობაში განმარტავენ, რომ დღესასწაული არ გაუქმებულა და ის გაისად გაცილებით მასშტაბური იქნება. საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის თაზო ფაცაციას განცხადებით, გამოყოფილი თანხა, რეალურად, საკმარისი არ იყო გასული წლის მსგავსი დღესასწაულის მოსაწყობად:

**„ოპონენტები მანამდე ამბობდნენ, რომ წინასაარჩევნოდ იყენებენ ამ ღონისძიებასო და მაგიტომ აკეთებენო და ახლა საერთოდ არ ვაკეთებთ და სხვა კუდი გამოაბეს... გავაკეთებთ მომავალი წლისთვის და არც არავისთვის არ იქნება საქილიკო თემა, არც არჩევნები იქნება მაშინ. იქნება ნამდვილად ზუგდიდისთვის შესაფერისი დღესასწაული და ქალაქისთვის შესაფერისი დღეები“,** — განაცხადა თაზო ფაცაციამ.

2016 წლის 10 სექტემბერს „ზუგდიდობის“ დღესასწაული პირველად ჩატარდა. მისი გამართვის გადაწყვეტილება ადგილობრივმა ხელისუფლებამ მიიღო. მაშინ დღესასწაულის მოსაწყობად ზუგდიდის მერიამ 50 ათასამდე ლარი დახარჯა.

**თამარ ზანთარაია**

# 2-3 სექტემბერს „ბათუმობა“ აღინიშნება

**წელს, „ბათუმობა“ 2-3 სექტემბერს გაიმართება. ღონისძიებები ტრადიციულად ძველ ბათუმში, მემედ აბაშიძის გამზირზე და ევროპის მოედანზე ჩატარდება. გასული წლისგან განსხვავებით წელს მემედ აბაშიძის გამზირს ქოლგების ნაცვლად სხვადასხვა ფერის გირლანდებით მორთავენ.**




# ალტერნატიული ტალღა 2017

**BIAFF კინოფესტივალზე, ინდუსტრიული პლატფორმის „ალტერნატიული ტალღის“ 2017 წლის გამოშვებისთვის დასრულდა პროექტების შერჩევა.**

„ალტერნატიულ ტალღა 2017“-ისთვის შეირჩა შემდეგი პროექტები:

**მკვლელობები** — პროდიუსერი ვაკო კირკიტაძე, რეჟისორები სანდრო და ელენე ნავერიანები;

**ნინა** — პროდიუსერი და რეჟისორი კოტე თაყაიშვილი;

**ოთარის სიკვდილი** — პროდიუსერი ევა ბლონდაუ, რეჟისორი იოსებ (სოსო) ბლიაძე;

**პანთეონი** — პროდიუსერი ვატო ქავთარაძე, რეჟისორი არჩილ ქავთარაძე;

**სამგლე** — პროდიუსერი და რეჟისორი ივა ფეზუაშვილი;

**უხერხემლო** — პროდიუსერი და რეჟისორი გიგიშა აბაშიძე;

**ქორწილი ჩემს ქუჩაზე** — პროდიუსერი და რეჟისორი შოთა გამისონია;

**წყნარი მთა** — პროდიუსერი გიორგი თავართქილაძე, რეჟისორი ლუკა ბერაძე.

**სკრიპტ დოქტორები** — ნიკოს პანაიატოპოლოსი (MFI — ექსპერტი), კლერ დოუნსი (EAVE-ს ექსპერტი).

**კოპროდუქციის პლატფორმების წარმომადგენლები და ორგანიზატორები** — ტობიას პაუზინგერი (Cinem-art, Sinelink, Biennale Collegу-ის ექსპერტი) და გიულინ უსტუნი (Meetings On the Bridge, Berlin Coproduction Market-ის ექსპერტი).

**ორგანიზატორები:** თინათინ ყაჯრიშვილი, ლაშა ხალვაში, ზვიად ელიზიანი.

შეხვედრები გაიმართება სასტუმრო Wyndham Batumi-ს საკონფერენციო დარბაზში.

**ალტერნატიული ტალღის მხარდამჭერები** — საქართველოს ეროვნული კინოცენტრი, ბრიტანეთის საბჭო, აჭარის განათლების, კულტურის და სპორტის სამინისტრო.

# „თბილისი-2017“ მონაწილეობის მსურველთა განაცხადების მიღება გრძელდება

**თბილისის საკრებულოს მიერ ორგანიზებულ კონკურსში — „თბილისი-2017“ მონაწილეობის მსურველთა განაცხადების მიღება გრძელდება.**

ლიტერატურისა და ხელოვნების კონკურსში მონაწილეობის მიღება ნებისმიერ დაინტერესებულ პირს ყოველგვარი ასაკობრივი შეზღუდვის გარეშე შეუძლია.

გამონაკლისს ნომინაცია — წლის საუკეთესო ესსე წარმოადგენს, რომელიც მხოლოდ სასკოლო ასაკის ბავშვებისთვისაა განკუთვნილი.

კონკურსის მიზანი ლიტერატურის, მუსიკის, ფერწერის, არქიტექტურისა და ხელოვნების სფეროში დასაქმებული პირების შემოქმედებითი აქტივობის, პროფესიულ ზრდისა და ჯანსაღი, კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბების, ასევე, ინტელექტუალური პოტენციალის გამოვლენისა და წახალისების, ეროვნული და საკაცობრიო ღირებულებების დანერგვისა და საზოგადოებაში სამოქალაქო ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობაა.

კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველთა განაცხადების მიღება მიმდინარე წლის 15 მაისს დაიწყო და 8 სექტემბერს დასრულდება.

კონკურსი ,,თბილისი“ ,,თბილისობა-2017“ ღონისძიებების ფარგლებში გაიმართება.

ახალი ტექნოლოგიები



# პირადი ცხოვრება ხელშეუხებელია!

**„ფლოკის“ სენსორი, რომელიც ინდივიდუალურად მონტაჟდება სახლზე და წელიწადში 50 დოლარი ღირს, აღრიცხავს და იმახსოვრებს ყველა გამვლელი მანქანის სარეგისტრაციო ნომერს და ფოტოებს უღებს მათ მძღოლებს. მომავალში სენსორის საშუალებით შესაძლებელი გახდება ფოტოსურათზე აღბეჭდილი სახეების ამოცნობაც.**

მოქალაქეებს, რომელთა უბნებშიც დამონტაჟებულია ეს კამერები, შეუძლიათ, თავიდან აიცილონ მონიტორინგი. მაგრამ სტუმრებსა თუ შემთხვევით გამვლელებს ამის საშუალება არა აქვთ.

ბიბისის თანახმად, პროექტის მთავარი დამფინანსებელი და მხარდამჭერია კომპანია „Y კომბინატორი“.ეს არის ე.წ. სტარტაპ-კომპანიების მთავარი სპონსორი, რომელიც აფინანსებს ახალ იდეებს და თავიანთი გეგმების განხორციელებაში ეხმარება გამომგონებლებს. იმავე ბიბისის თანახმად, „Y კომბინატორმა“ დააფინანსა ისეთი აწ უკვე წარმატებული კომპანიები, როგორებიცაა „რედიტი“, „დროპბოქსი“ და „ერ-ბი-ენ-ბი“.

ზოგი ექსპერტის აზრით, ეს მოწყობილობა არ ეწინააღმდეგება აშშ-ის კანონმდებლობას, თუმცა შეიძლება გამოიწვიოს სერიოზული დისკუსია პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის თემაზე. როგორც უკვე ითქვა, კამერა იმახსოვრებს ავტომანქანების სალიცენზიო ნომრებს, რაც იმას ნიშნავს, რომ მონაცემთა ბანკში მოხვდებიან ის მანქანებიც, რომლებსაც გეზი სხვაგან უჭირავთ და იმ კონკრეტულ უბანთან, სადაც კამერაა დამონტაჟებული, ფაქტობრივად, არაფერი ესაქმებათ. ამასთანავე, კამერა ყველა ფეხით მოსიარულესაც აღრიცხავს. ეს კი პრობლემაა, რადგან ამა თუ იმ სახლთან გავლა სულაც არ ითვლება ვიღაცის კერძო ტერიტორიაზე შესვლად. კომპანია „ფლოკის“ თქმით, ეს მონაცემები მხოლოდ სამეზობლოს ექნება და ინფორმაცია 30 დღის შემდეგ წაიშლება. კომპანიის მესვეურთა განცხადებით, მოწყობილობის მთავარი მიზანი დანაშაულის პრევენციაა.

**„პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის შესახებ აშშ-ის კანონის ერთ-ერთი სუსტი წერტილი ის არის, რომ კანონი ვრცელდება მხოლოდ ვიღაცის კერძო მფლობელობაში არსებულ ტერიტორიებზე, და არა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებზე“,** — ამბობს ალბერტ გიდარი, სტენფორდის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი. **„ამა თუ იმ უბანში გაყვანილი სამანქანო გზები, ავტომანქანების სარეგისტრაციო ნომრები, ფეხით მოსიარულეები საზოგადოებრივ ტროტუარებზე — ყველაფერი ეს „სამართლიანი თამაშის“ ნაწილია“,** — დასძენს გიდარი ბიბისისთან საუბარში. მისივე თქმით, ახალი ტექნოლოგიები ხშირად წარმოშობს ისეთ სიტუაციებს, რომელთა გათვალისწინებაც კანონმდებლებისათვის ადრე შეუძლებელი იყო.

**„ახლა, როცა ეს სისტემები სულ უფრო ხელმისაწვდომი ხდება და გამოსახულების გადასაღები ახალი პლატფორმები თანდათან იაფდება, აუცილებელია, გადავსინჯოთ ჩვენი დამოკიდებულება პირადი ინფორმაციის ხელშეუხებლობისადმი. მაგალითად, რამდენიმე შტატში მოქმედებს კანონი, რომელიც კრძალავს ბიომეტრიული ინფორმაციის შეგროვებას. ამ შტატებში სახის ამოცნობის ფუნქციამ შეიძლება სერიოზული პრობლემა გააჩინოს.“**

მიუხედავად იმისა, რომ „ფლოკის“ ტექნოლოგია შედარებით ახალია, მისი დახმარებით უკვე მოხერხდა ერთი პირის დაკავება. „ეს უიღბლო კაცი შევიდა ჩვენი მონიტორინგის ქვეშ მყოფ ერთ-ერთ უბანში“, ამბობს გარეტ ლენგლი, „ფლოკის“ თანადამფუძნებელი და აღმასრულებელი დირექტორი. **„მან მოიპარა ველოსიპედი, ჩადო ის თავისი მანქანის საბარგულში და წავიდა ჩაწეული მინითა და გახსნილი საბარგულით. ამრიგად, ჩვენ გვაქვს როგორც მისი მანქანის სარეგისტრაციო ნომერი, ისე მისი სახის ამსახველი ფოტოსურათი და ველოსიპედის სურათი, რომელიც საბარგულიდან ჩანს,“** — კმაყოფილებას ვერ მალავს.

**ნოდარ ფხალაძე,**
რადიო „თავისუფლება“

# ტყვარჩელი – „დაღუპული ცივილიზაციის“ ნარჩენები



**„თუ ეს ქალაქი-მოჩვენებაა, მაშინ ჩვენ ზომბები ვართ“,** – ამბობს იგორ ქიშმარია, რომელიც მეშახტეთა დასახლებაში – აკარმარაში ცხოვრობს. ადრე, საბჭოთა პერიოდში, აკარმარა დაბა იყო, ახლა კი ნანგრევებადაა ქცეული. შენობები ძლივსღა მოჩანს, ისეა დაბურულ-შემოსილი აფხაზეთის მთების უხვი მცენარეულობით. დღეს სულ 50-მდე ადამიანი თუ ცხოვრობს ქალაქ ტყვარჩელის ახლოს მდებარე სამრეწველო დასახლებაში. თვით ტყვარჩელი კი გასული საუკუნის 30-იან წლების შუახანებიდან კავკასიაში ქვანახშირის მოპოვების ერთ-ერთ ცენტრს წარმოადგენდა.

მოხუცი მიტოვებული რკინიგზის გასწვრივ მაყვალს კრეფს, ტურისტები კი რკინიგზის სადგურის ნარჩენების ფოტოებს იღებენ, ქვანახშირის მომპოვებელი ყოფილი ფაბრიკის შენობის წინ ძროხები მშვიდად ბალახობენ. გზაზე, რომელიც აკარმარას ტყვარჩელთან აკავშირებს გაველურებული ორტენზიები ჰყვავიან. ყოფილი საცხოვრებელი კორპუსების კიბეების საფეხურებს ხავსი აქვთ მოდებული, ხოლო ფანჯრებიდან ხის ტოტებია გამოშვერილი – ასეთია „ქალაქ-მოჩვენების“ ყოველდღიური პეიზაჟი.

ბოლო წლებში აფხაზეთი უცხოელი ფოტოგრაფებისა და მხატვრების საყვარელი ადგილი გახდა – აქ ბლომადაა შემორჩენილი „დაღუპული ცივილიზაციის“ ნარჩენები. ჰოდა, ტყვარჩელიც და მის ახლოს მდებარე დაბა აკარმარაც ნამდვილად მნიშვნელოვანი აღმოჩენაა გამქრალ ცივილიზაციათა მაძიებლებისათვის.

1942 წელს, როცა დონბასის ქვანახშირის აუზი გერმანელი ფაშისტების ხელში მოხვდა, საბჭოთა კავშირმა ტყვარჩელში კოქსური ქვანახშირის მოპოვება მნიშვნელოვნად გააფართოვა და შესაბამისად, ტყვარჩელიც ქალაქად გამოცხადდა. აფხაზეთი იმ დროს საბჭოთა საქართველოს ავტონომიური ნაწილი იყო, დღეს კი რუსეთის ფედერაციისა და კიდევ ორიოდე ქვეყნის მიერ დამოუკიდებელ სახელმწიფოდაა აღიარებული, თუმცა საქართველო აფხაზეთის აღიარების კატეგორიული წინააღმდეგია. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ თბილისს ავტონომიური რესპუბლიკის ძალით შენარჩუნება სურდა, რამაც 1992 წლის აგვისტოში მათ შორის ომი გამოიწვია. იმ ომიდან უკვე 25 წელი გავიდა.

ტყვარჩელის ქვანახშირის მომპოვებელ საწარმოებში სამუშაოდ ინჟინრები და სხვა სპეციალისტები საბჭოთა კავშირის ყველა კუთხიდან ჩადიოდნენ, მათ შორის ბევრი რუსი და უკრაინელი იყო. ქვანახშირს ღია კარიერებზე იღებდნენ და საქართველოს მეტალურგიულ ქარხნის ბრძმედებში აგზავნიდნენ ფოლადის გამოსადნობად. ტყვარჩელში გერმანელი ტყვეებიც მუშაობდნენ, რომლებმაც ქალაქი, შეიძლება ითქვას, მეორედ ააშენეს. 1970-იან წლებში აქ უკვე 25 ათასი ადამიანი ცხოვრობდა: **„ეს ინტერნაციონალური ქალაქი იყო და ის აფხაზეთის ყველაზე მსხვილ სამრეწველო ცენტრს წარმოადგენდა“,** – ამბობს იგორ ქიშმარია. 1980-იანი წლების ბოლოს, როცა საბჭოთა მოკავშირე რესპუბლიკებს შორის ურთიერთობები შესუსტდა და ბოლოს საბჭოთა კავშირიც დაიშალა, ტყვარჩელი მოსახლეობისაგან დაიცალა.

1992 წელს, როცა ომი დაიწყო, ტყვარჩელის რაიონი აფხაზეთიდან მოწყვეტილი აღმოჩნდა. ბლოკადა ომის დასასრულამდე, 1993 წლის სექტემბრამდე გაგრძელდა. ბლოკადის დროს მეშახტეთა ქალაქთან კავშირი მხოლოდ ვერტმფრენების მეშვეობით ხერხდებოდა, რომლებსაც მოსახლეობისთვის საკვები მოჰქონდათ, იარაღით ამარაგებდნენ და დაჭრილების ევაკუაციას ახდენდნენ. როგორც ფოტოგრაფი იბრაჰიმ ჭკადუა იხსენებს (იგი ტყვარჩელშია დაბადებულ-გაზრდილი და ახლა სოხუმში ცხოვრობს) იმდროინდელი მოგონებები მხოლოდ უდენობას, შიმშილს და სიცივეს უკავშირდება.

**„დღეს ტყვარჩელის ქვანახშირის მაღაროები გაზით და წყლითაა სავსე“,** – ამბობს იგორ ქიშმარია. იგი პროფესიით ელექტრიკოსია, მაგრამ უმუშევარი – ისევე როგორც აკარმარის მცირერიცხოვანი მოსახლეობა. ბოლო ხანებამდე აქ თურქულ-აფხაზური საწარმო მუშაობდა, რომელმაც ქვანახშირის ამოღება დაიწყო. მოპოვებული ქვანახშირი თურქეთში გაჰქონდათ შავი ზღვით, საქართველოს სასაზღვრო პუნქტების გვერდის ავლით. დღეს მომავალი ბუნდოვანია. იგორი ოცნებობს, რომ აქ ბევრი ტურისტი ჩამოვიდეს, რომ აკარმარელმა ბავშვებმა ყვითელი ავტობუსებით ტყვარჩელის სკოლაში იარონ... „ჩვენ ხომ ჯერ კიდევ ცოცხლები ვართ! უფრო უკეთესი იქნება, რომ უცხოელებმა აპოკალიფსის სურათები კი არა, სიცოცხლის ამსახველი ფოტოები გადაიღონ. თქვენ, უცხოელები, აქ მხოლოდ ნანგრევებს ხედავთ, ჩვენთვის კი ეს ნანგრევები მშობლიური ქალაქის ნარჩენებია – ის, რაც ადრე კლუბები და კინოთეატრები იყო“, მეუბნება იგორი და იქვე ამატებს: **„ე, კარგად ვიცით, რომ საბჭოთა დრო აღარ დაბრუნდება“.**

ახლახან აკარმარის ახლოს კვლავ ამოქმედდა სანატორიუმი, რომელშიც მკურნალობა რადონის წყლებით ხორციელდება. იბრაჰიმ ჭკადუა ამბობს, რომ მისთვის ძნელია მშობლიურ ადგილებში ჩასვლა, მაგრამ მაინც გადაწყვეტილი აქვს 11 წლის ვაჟი აკარმარაში პირველად ჩაიყვანოს. **„ეს ნამდვილად ჩიხია, პირდაპირი და ირიბი გაგებით. აკარმარის უკან მხოლოდ მთებია. საბჭოთა პერიოდშიც, ფაქტობრივად, ასე იყო – ლამაზი ჩიხი იმპერიის წინა ხაზზე“,** – იხსრავს ფოტოგრაფი. რაც იყო, იყო – დღეს აკარმარა საბჭოთა კავშირის დასასრულის მეტაფორას და ადამიანების ნახელავზე ველური ბუნების გამარჯვებას წარმოადგენს.

**„EL PAIS“ (ესპანეთი)**

**P. S. პუბლიკაციის ორიგინალში შეინიშნება საქართველოს უახლესი ისტორიის დამახინჯება, რაც ავტორის აფხაზეთში ყოფნის დროს, ადგილობრივი პროპაგანდის გავლენა შეიძლება იყოს... (რედ.)**

# მიიჩნევთ თუ არა რუსეთს საფრთხედ, ბატონო ტრამპო?



**აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა კვლავ გამოთქვა მოსაზრება, რომ საჭიროა რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესება.** ამავე დროს, მან თავი აარიდა ევროპაში რუსეთის ბოლო წლების მოქმედების „საფრთხედ“ მოხსენიებას და უფრო ზოგად განცხადებას დასჯერდა.

**მიიჩნევთ თუ არა რუსეთს საფრთხედ?** – ეს კითხვა აშშ-ის პრეზიდენტს დაუსვა ფინელმა ჟურნალისტმა, რომელიც ესწრებოდა ტრამპისა და მისი ფინელი კოლეგის საული ნიინისტოს ერთობლივ პრესკონფერენციას ვაშინგტონში, თეთრ სახლში ორი პრეზიდენტის შეხვედრის შემდეგ. ტრამპის პასუხი: **„ბევრ ქვეყანას მივიჩნევ საფრთხედ, სამწუხაროდ – თუ შევხედავთ, რა ხდება დღეს მსოფლიოში“,** ანუ, ტრამპს არ უხსენებია, კონკრეტულად, რუსეთი, არადა, შეკითხვა რუსეთს ეხებოდა.

სამაგიეროდ, ტრამპმა გაიმეორა უკვე არაერთხელ გამოთქმული მოსაზრება, რომ საჭიროა რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესება: **„იმედი მაქვს, რომ გვექნება კარგი ურთიერთობა რუსეთთან. ამას ხმამაღლა და გარკვევით ვამბობ! უკვე წლებია, ამას ვამბობ. ვფიქრობ, კარგი იქნება რუსეთთან საუცხოო ურთიერთობა ან, სულ ცოტა, კარგი ურთიერთობა გვქონდეს. ეს ძალიან მნიშვნელოვანია და მჯერა, რომ, ადრე თუ გვიან, ასეც იქნება. რუსეთი დიდი ქვეყანაა, ქვეყანა ბირთვული იარაღით“.**

ამავე პრესკონფერენციის დროს დონალდ ტრამპს ჰკითხეს, რას ფიქრობს რუსეთისა და ჩინეთის ბოლოდროინდელ სამხედრო-საზღვაო მანევრებზე ბალტიის ზღვაში და მომავალი თვის სამხედრო მანევრებზე, რომლებიც, ასევე, ბალტიისპირეთის ქვეყნების მეზობლად, კვლავ რუსეთის მონაწილეობით გაიმართება?

**„ჩვენ ძალიან ვმფარველობთ ამ რეგიონს. მარტო ამის თქმა შემიძლია. ძალიან, ძალიან ვმფარველობთ – იქ საუცხოო მეგობრები გვყავს, საუცხოო ურთიერთობები გვაქვს. ჩვენ უაღრესად აქტიურად ვმფარველობთ რეგიონს“,** – განაცხადა დონალდ ტრამპმა, 28 აგვისტოს ვაშინგტონში გამართულ პრესკონფერენციაზე. აშშ-ში რამდენიმე გამოძიება მიმდინარეობს იმის დასადგენად, ჩაერია თუ არა რუსეთი აშშ-ში 2016 წლის წინასაარჩევნო კამპანიაში და იყო თუ არა დონალდ ტრამპის გუნდის მოქმედება ამ კამპანიის დროს რუსეთთან კოორდინირებული.

**რადიო „თავისუფლება“**

## მოსკოვი გერმანიის არჩევნებში ჩარევას უარყოფს

**გერმანიის დაზვერვის სამსახურმა ვერც ერთი დადასტურებული ფაქტი ვერ წარმოადგინა იმისა, რომ მოსკოვი გერმანიის არჩევნებში ერევა. ამის შესახებ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა განაცხადა.**

**„თუ ფაქტებზე ვსაუბრობთ, არ დაგვავიწყდეს, რომ გერმანიის კანცლერის სატელეფონო საუბრებს ამერიკული სპეცსამსაურები უსმენდნენ. არ მახსოვს, გერმანულ მხარეს ოდესმე რუსეთის მაკომპრომენტირებელი ფაქტები წარმოედგინოს“, – აღნიშნა სერგეი ლავროვმა.**

## მონტენეგროში დაკარგულმა პოლონელმა ტურისტმა შემთხვევით ტყე გადაწვა

**მონტენეგროში, ქალაქ ბართან, ტყეში დაკარგულმა პოლონელმა ტურისტმა მასშტაბური ხანძარი გამოიწვია.**

**არსებული ინფორმაციით, პოლონელ ტურისტს გზა აებნა და SOS სიგნალისთვის ტყეში ცეცხლი დაანთო. ტურისტი რამდენიმე საათში იპოვეს და დააკავეს, ტყეში გაჩენილი ხანძრის ლიკვიდირებას კი მეხანძრეები უკვე მეორე დღეა, ცდილობენ. როგორც ადგილობრივი მედია იუწყება, SOS სიგნალისთვის დანთებული კოცონიდან ცეცხლი ტყეში სწრაფად გავრცელდა და დიდი ფართობი მოიცვა.**

## ყველაზე მდიდარი რუსული ოჯახების რეიტინგი

**ჟურნალმა Forbes-მა რუსეთის ყველაზე მდიდარი ოჯახების სია გამოაქვეყნა. რეიტინგში პირველ ადგილს გუცერიევების ოჯახი იკავებს. მათი ქონება 9,91 მილიარდ დოლარად არის შეფასებული. მეორე ადგილზე 4,2 მილიარდით როტენბერგების ოჯახია, მესამე პოზიციაზე კი 2,7 მილიარდით ანანიევების ოჯახი გავიდა.**

## ესპანეთში პომიდვრების ფესტივალისთვის ემზადებიან

**ესპანეთში ტრადიციული ტომატინას ფესტივალისთვის უსაფრთხოების ზომები გამკაცრდა. პოლიციელები ფესტივალის მონაწილეებს საგულდაგულოდ ჩხრეკენ. შინაგან საქმეთა მინისტრის განცხადებით, კატალონიის ტერაქტების შემდეგ ნებისმიერ ხალხმრავალ ღონისძიებაზე განგაშის მეოთხე ნიშნულით გათვალისწინებული ნორმები იმოქმედებს. პომიდვრების ფესტივალი ესპანეთში ყოველწლიურად ტარდება.**

## პოლონელმა მოცურავემ ბალტიის ზღვა გადაცურა

**ბალტიის ზღვა პირველად გადაცურეს. კოლობჟეგსა და ბორნჰოლმს შორის 100-კილომეტრიანი დისტანცია პოლონელმა სებასტიან კარასმა 28 საათ ნახევარში დაფარა. რეკორდის დამყარება სპორტის ოსტატს არასახარბიელო პირობებში მოუხდა. რიგ მონაკვეთებზე ტალღების სიმაღლე 2 მეტრს აღწევდა, წყლის ტემპერატურა კი 20 გრადუსს არ აღემატებოდა. ბალტიის ზღვის გადაცურვა კარასმა გასულ წელსაც სცადა, თუმცა 8-საათიანი ცურვის შემდეგ იძულებული გახდა, მარათონი შეეწყვიტა. კარასს ლა-მანშის სრუტეც აქვს გადაცურული.**

# ვადის გაგრძელება ინტერესის გამოსახატავად

საქართველო

შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების მეორე პროექტი
კრედიტის №5078- GE; სესხის №8143-GE

პროექტის **N P122204**

დავალების სახელწოდება: იმერეთის, გურიის, სამეგრელო-ზემო სვანეთის და ქვემო ქართლის რეგიონებში მცირე მასშტაბის საგზაო უსაფრთხოების გაუმჯობესების ღონისძიებების ზედამხედველობა (I ლოტი და II ლოტი)

კონტრაქტი/ **RFP #** SLRPII/CS/CQS-07

საქართველომ მსოფლიო ბანკს მიმართა **შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების მეორე პროექტის** დასაფინანსებლად. აღნიშნული დაფინანსების გარკვეული ნაწილი გამოყენებული იქნება ხსენებული პროექტის ფარგლებში საკონსულტაციო მომსახურების ღირებულების ასანაზღაურებლად.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი აღნიშნული მომსახურების გასაწევად ინტერესის გამოხატვისთვის იწვევს უფლებამოსილ საკონსულტაციო კომპანიებს (კონსულტანტებს) შემდეგი საკონსულტაციო მომსახურების (”მომსახურება”) გასაწევად: **“იმერეთის, გურიის, სამეგრელო-ზემო სვანეთის და ქვემო ქართლის რეგიონებში მცირე მასშტაბის საგზაო უსაფრთხოების გაუმჯობესების ღონისძიებების ზედამხედველობა (I ლოტი და II ლოტი)”.**

საკონსულტაციო მომსახურების სავარაუდო ხანგრძლივობაა 5 თვე (3.5 თვე I ლოტისთვის და 5 თვე II ლოტისთვის) + 12 თვე დეფექტების აღმოფხვრის პერიოდი.

დაინტერესებულმა კონსულტანტებმა უნდა წარმოადგინონ მომსახურების გასაწევად საჭირო გამოცდილებისა და კვალიფიკაციის დამადასტურებელი ინფორმაცია. ინტერესთა გამოხატვის წერილს თან უნდა დაერთოს შემდეგი: კონსულტანტის კორპორატიული პროფაილი და შესაბამისი გამოცდილება დავალებასთან მიმართებაში.

დაინტერესებულმა კონსულტანტებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ მსოფლიო ბანკის ინსტრუქციების – „მსოფლიო ბანკის სესხის ამღების მიერ კონსულტანტების შერჩევა და დაქირავება [რეკონსტრუცქიისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის (IBRD) სესხის და განვითარების საერთაშორისო ასოციაციის (IDA) კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში]” (2011 წლის იანვრის გამოცემა, “კონსულტანტების სახელმძღვანელო პრინციპები”) – 1.9 პარაგრაფზე, სადაც განსაზღვრულია მსოფლიო ბანკის პოლიტიკა ინტერესთა კონფლიქტის შესახებ. ამასთანავე, გთხოვთ გაითვალისწინოთ ქვემოთ მოცემული სპეციფიკური ინფორმაცია, რომელიც ეხება აღნიშნულ დავალებასთან დაკავშირებულ ინტერესთა კონფლიქტს: კონსულტანტი დავალებასთან მიმართებაში ანაზღაურებას მიიღებს მხოლოდ კონტრაქტში მითითებული პირობების შესაბამისად. დაუშვებელია კონსულტანტისა და მისი ფილიალების მონაწილეობა ისეთ საკონსულტაციო ან სხვა ღონისძიებებში, რომლებიც კონტრაქტის თანახმად დამკვეთთან ინტერესთა კონფლიქტს წარმოშობს. კონტრაქტი უნდა მოიცავდეს პირობებს, რომლითაც იზღუდება მომავალში კონსულტანტის მონაწილეობა სხვა მომსახურებებში, რომელიც გამომდინარეობს ან პირდაპირ კავშირშია ფირმის საკონსულტაციო მომსახურეობებთან ინსტრუქციების 1.9 და 1.10 პარაგრაფებით გათვალისწინებული მოთხოვნების თანახმად.

კონსულტანტებს შეუძლიათ გაერთიანდნენ კვალიფიკაციის გაუმჯობესების მიზნით. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ მსოფლიო ბანკისთვის მისაღები გაერთიანების ფორმაა ან ქვე-კონსულტანტი ან ერთობლივი საწარმო. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ნათლად უნდა იყოს მითითებული ასოციაციის სახე. ქვე-კონსულტანტების გამოცდილება არ იქნება გათვალისწინებული კომპანიის კორპორატიული გამოცდილების შეფასების დროს. დავალების შესაბამისი პროექტების განხორციელების გამოცდილება წარმოდგენილ უნდა იქნას 1 ფორმის სახით, რომელიც განთავსებულია საავტომობილო გზების დეპარტამენტის ვებ-გვერდზე www.georoad.ge შემდეგ ბმულზე:

http://www.georoad.ge/?lang=geo&act=tenders&func=menu&uid=1490604057

კონსულტანტების მიერ წარმოდგენილი ინტერესის გამოხატვა არ უნდა აღემატებოდეს 30 გვერდს. დანართის სახით შესაძლებელია კომპანიის ბროშურის წარმოდგენა, რაზეც გვერდების რაოდენობის შეზღუდვა არ ვრცელდება.

კონსულტანტის შერჩევა მოხდება **კონსულტანტის კვალიფიკაციაზე დაყრდნობით შეჩევის მეთოდით** მსოფლიო ბანკის ინსტრუქციებით განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად: მსოფლიო ბანკის სესხის ამღების მიერ კონსულტანტების შერჩევა და დაქირავება, 2011 წლის იანვარი, განახლებული 2014 წლის ივლისში.

დაინტერესებულ კონსულტანტებს უნდა გააჩნდეს შესაბამისი კვალიფიკაცია და გამოცდილება.

**მოკლე სიაში მოხვედრის კრიტერიუმია:**

- ზოგადი გამოცდილება საგზაო ინფრასტრუქტურულ პროექტებში;
- მსგავსი გამოცდილება გზების სამშენებლო/სარეაბილიტაციო სამუშაოების ზედამხედველობაში ბოლო 5 წლის განმავლობაში (დაწყებული 2012 წლის 1 იანვრიდან);

შეფასებისას მოხდება მხოლოდ წარმატებით დასრულებული დავალებების გათვალისწინება.

*საავტომობილო გზების დეპარტამენტი იტოვებს უფლებას გადაამოწმოს წარმოდგენილი საბუთები და მოპოვებული ინფორმაცია გამოიყენოს შეფასების მიზნებისთვის.*

დაინტერესებულ კონსულტანტებს დამატებითი ინფორმაციის მიღება შეუძლიათ იმეილზე: info@georoad.ge

ინტერესის გამოხატვა წერილობითი სახით წარმოდგენილ უნდა იქნას ქვემოთ მითითებულ მისამართზე (პირადად, ფოსტის ან ელექტრონული ფოსტის საშუალებით) არა უგვიანეს **2017 წლის 13 სექტემბრის, 17:00 საათისა.**

სახელი: გიორგი სეთურიძე

პოზიცია: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარე

მისამართი: საქართველო, თბილისი, 0160, ალ. ყაზბეგის გამზირი №12

ელექტრონული ფოსტა: info@georoad.ge

ვებ-გვერდი: www.georoad.ge

# Time Extension for EXPRESSION OF INTEREST

**Georgia**

**Second Secondary and Local Roads Project (SLRPII)**
**Credit No.** 5078-GE; Loan No. 8143-GE

Project No. P122204

Assignment Title: Supervision of Works for Small – Scale road Safety improvements in Imereti, Guria, Samegrelo - Zemo Svaneti and Kvemo Kartli regions (Lot 1 and Lot 2)

Contract/RFP No: SLRPII/CS/CQS-07

Georgia has received financing from the World Bank towards the cost of the **Second Secondary and Local Roads Project** and intends to apply part of the proceeds to payments for goods, works, and related services and consulting services to be procured under this project which will be jointly financed by the Government of Georgia.

The Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia (RDMRDI) now invites eligible consulting companies to express their interest in providing the following services: **Supervision of Works for Small – Scale road Safety improvements in Imereti, Guria, Samegrelo-Zemo Svaneti and Kvemo Kartli regions (Lot 1 and Lot 2).**

The estimated duration of assignment is 5 months (3.5 months for Lot 1 and 5 months for Lot 2) + Defects Liability Period of 12 months.

Interested companies shall provide information demonstrating that they have the necessary experience to perform the aforesaid services. Expressions of interest should cover, but not limited to: Experience relevant to the project activities, key staff resources and qualification, corporate profile.

The attention of interested Consultants is drawn to paragraph 1.9 of the World Bank's *Guidelines: Selection and Employment of Consultants [under IBRD Loans and IDA Credits & Grants] by World Bank Borrowers*, January 2011, revised in July 2014 ("Consultant Guidelines"), setting forth the World Bank's policy on conflict of interest. In addition, please refer to the following specific information on conflict of interest related to this assignment: The consultant shall not receive any remuneration in connection with the assignment except as provided in the contract. The consultant and its affiliates shall not engage in consulting or other activities that conflict with the interest of the client under the contract. The contract shall include provisions limiting future engagement of the consultant for other services resulting from or directly related to the firm's consulting services in accordance with the requirements of paragraphs 1.9 and 1.10 of the Guidelines.

Consultants may form an association (*Please take into account that form of association acceptable for the World Bank is either sub-consultancy or Joint-Venture and submission must clearly indicate the nature of the association*) to enhance their qualifications. The experience of subconsultants will not be taken into account while evaluating the corporate experience of the company. Experience in the projects relevant to the assignment should be submitted in the Form N1 uploaded at Roads Department website on www.georoad.ge on the following link:

http://www.georoad.ge/?lang=eng&act=tenders&func=menu&uid=1490604057

The consultants are strongly advised to limit their Expression of Interest to 30 pages. Company brochures may be included as an Annex, and will not be affected by the limit of 30 pages.

A consultant will be selected in accordance with the "Consultant's Qualification Selection" procedures set out in World Bank's *Guidelines: Selection and Employment of Consultants [under IBRD Loans and IDA Credits & Grants] by World Bank Borrowers* , January 2011, revised in July 2014 ("Consultant Guidelines"). On the basis of submitted Expressions of Interest, a short-list will be established and highest ranked consultant will be requested to submit technical and financial proposal.

Required Qualification of the Consultant:

The Interested Consultants should provide information demonstrating that they have the required qualifications and relevant experience to perform the Services.

Shortlisting Criteria:

The Consultant will be selected using the following evaluation criteria:

- General Experience in road infrastructure assignments;
- Similar experience in Supervision of road construction/rehabilitation assignments during the last 5 years (assignments completed in or after 2012);

Only SUCCESSFULLY COMPLETED assignments will be taken into account during evaluation.

*Note: The Road Department reserves it's right to verify submitted references and use obtained information for evaluation purposes.*

Interested consultants may obtain further information at the address: info@georoad.ge

Expressions of Interest electronically or in printed materials must be delivered to the address below not later than **September 13, 2017, 17:00 hours.**

Name: Giorgi Seturidze

Position: Chairman of Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia

Address: 12 Al. Kazbegi Avenue, Tbilisi, 0160, Georgia

Email: info@georoad.ge

Web-Site: www.georoad.ge

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
სულხან-საბას ქ. №3.
29 3-13-34; 599 797679

# საქართველოს მასშტაბით 189 საჯარო სკოლა ავარიულია



სახალხო დამცველის აპარატის ინფორმაციით, საქართველოს მასშტაბით, 189 საჯარო სკოლა ავარიულია და თითქმის ყველა საჯარო სკოლა საჭიროებს ცალკეულ სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოს: **„2017 წლის 16 აგვისტოს საქართველოს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა საქართველოს მთავრობასა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურული მდგომარეობის გაუმჯობესებისა და მოსწავლეთა უსაფრთხოების დაცვისათვის საჭირო ღონისძიებათა გატარების მიზნით.**

**საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი 2016–2017 წლების განმავლობაში აქტიურად სწავლობდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურულ მდგომარეობასა და ფიზიკური გარემოს განვითარების საკითხებს. აღნიშნულ თემებზე ყურადღება გამახვილებულია საქართველოს სახალხო დამცველის როგორც საპარლამენტო, ისე სპეციალურ ანგარიშებში, თუმცა მთელი რიგი მნიშვნელოვანი საკითხებისა კვლავ გადაუჭრელი რჩება.**

**შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მნიშვნელოვანი ნაწილი ფუნქციონირებს ავარიულ და მოსწავლეთათვის საფრთხის შემცველ პირობებში. 2016 წელს ავარიულ მდგომარეობაში ფუნქციონირებდა 209 საჯარო სკოლა, მათგან 42 არ ექვემდებარებოდა აღდგენა-გამაგრებით სამუშაოებს. ამასთან, თითქმის ყველა საჯარო სკოლა საჭიროებს ცალკეულ სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოს. ავარიულ და სარეაბილიტაციო საჯარო სკოლებში 42 394 მოსწავლე ირიცხება, მათ შორის არის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მონაცემებიც. მოწოდებული ინფორმაციით, ავარიულ სკოლებში მოსწავლეთა უსაფრთხოების მიზნით ტარდება აუცილებელი ღონისძიებები, თუმცა, მსგავსი ღონისძიებები რიგ შემთხვევებში სათანადოდ ვერ უზრუნველყოფს მოსწავლეთა უსაფრთხოების ჯეროვან დაცვას.**

**მისასალმებელია, რომ 2015-2017 წლებში საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში ახალი საჯარო სკოლები შენდება, თუმცა, მათი რიცხვი მცირეა. მცირეა ასევე აღდგენა-სარეაბილიტაციო (გამაგრებითი) ღონისძიებები.**

**საქართველოს სახალხო დამცველი მიუთითებს, რომ აუცილებელია, აქტიურად განხორციელდეს საჯარო სკოლებში მოსწავლეთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ორიენტირებული ღონისძიებები, განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდეს განათლების ხელმისაწვდომობასა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში უსაფრთხო ფიზიკური გარემოს უზრუნველყოფაზე.**

# ინფორმაცია მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის ფასის შესახებ

მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის ფასის* შესახებ ინფორმაცია წარმოადგენს საცალო მომხმარებლისათვის (მოსახლეობისა და გამანაწილებელ ქსელზე მიერთებული სხვა მომხმარებლისათვის) ბუნებრივი გაზის ფასის შეთავაზებას (ოფერტს) დამატებითი, განსაკუთრებული პირობების გარეშე, „ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და მოხმარების წესების“ შესაბამისად. თქვენი (მომხმარებლის) მიმდინარე სამომხმარებლო ტარიფი სხვადასხვა კომპონენტებთან ერთად შედგება მიმწოდებლისა და განაწილების ლიცენზიატის მომსახურების კომპონენტებისაგან. მომხმარებელს, სურვილის შემთხვევაში, შეუძლია აირჩიოს და ბუნებრივი გაზის შესყიდვაზე გააფორმოს ხელშეკრულება იმ მიმწოდებელ (ბუნებრივი გაზის გამყიდველთან), რომელიც უკეთეს პირობებს შესთავაზებს (მიუხედავად იმისა, ეწევა თუ არა აღნიშნული მიმწოდებელი მისთვის ბუნებრივი გაზის განაწილების საქმიანობას). ბუნებრივი გაზის გამანაწილებელი ქსელის მომსახურე კომპანიის (განაწილების ლიცენზიატის) არჩევა არ ხდება. მიმწოდებლის არჩევისა და ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, მიმწოდებელი ( ბუნებრივი გაზის გამყიდველი) თვითონ უზრუნველყოფს ბუნებრივი გაზით თქვენს მომარაგებას იმ განაწილების ლიცენზიატის მეშვეობით, რომელიც ფლობს გაზგანაწილების ქსელს. განაწილების ლიცენზიატი ვალდებულია ხელი შეუწყოს მომხმარებელსა და ნებისმიერ გაზის მიმწოდებელს შორის ურთიერთობას. თუ თქვენს მოთხოვნებს სრულად აკმაყოფილებს იმ მომსახურე კომპანიასთან (მიმწოდებელთან) ურთიერთობა, რომელიც ამჟამად გაწვდით ბუნებრივ გაზს (ახდენს ქვითრის გამოწერას არსებული, შეთანხმებული ფასით), წინამდებარე ინფორმაცია არ წარმოადგენს არსებული ურთიერთობების გადახედვის საფუძველს. აღნიშნული შეთავაზების საბოლოო ფასის განსაზღვრისთვის, ცხრილი № 1 -ში თქვენთვის სასურველი მიმწოდებლის შეთავაზებულ ფასს ემატება თქვენი გამანაწილებელი ქსელის მომსახურე განაწილების ლიცენზიატის განაწილების ან გატარების ტარიფი (იხ.შენიშვნა*), შეთავაზება ძალაშია ამავე ფორმით სხვა შეთავაზებამდე.

**1. საცალო მომხმარებელზე მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის შესახებ ინფორმაცია 2018 წლისთვის** **ცხრილი 1**

| № | ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი | იურდიული მისამართი | ცხელი ხაზი ტელ.ნომერი,მობ.ნომერი, ელ.ფოსტა | საცალო მომხმარებლებზე მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის წლიური მოცულობა (კუბ.მ) | **მოხმარებული ბუნებრივი გაზის შეთავაზებული ფასი(დღგ-ის გარეშე თეთრი/კუბ.მ) მომხმარებელთა კატეგორიების მიხედვით |
|---|---|---|---|---|---|
| ა | ბ | გ | დ | ე | ვ |
| | შპს ,,ჩირაღდანი'' | ლაგოდეხი<br>სოფ. ცოდნისკარი | 599 913893<br>qetibaramasvili@gmail.com | საყოფაცხოვრებო<br>258710(კუბ.მ) | საყოფაცხოვრებო<br>27.60 |

*თუ ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი ეწევა ბუნებრივი გაზის განაწილების საქმიანობასაც,მომხმარებელს დაერიცხება შესაბამისი განაწილების ლიცენზიატისთვის დადგენილი განაწილების ტარიფი, ხოლო თუ ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი და გამანაწილებელი სხვადასხვა პირია, მომხმარებელს დაერიცხება შესაბამისი განაწილების ლიცენზიატისთვის დადგენილი გატარების ტარიფი.

**შეთავაზებული ბუნებრივი გაზის ღირებულებაში შედის ტრანსპორტირების მომსახურება (ტარიფი) გაზგამანაწილებელ ქსელამდე (განაწილების ან/და გატარების მომსახურების გარდა). მიმწოდებელს, რომელსაც თვითოეული კატეგორიისთვის შეთავაზებული აქვს ორი ფასი, ეს არის ზღვრული ფასები (ქვედა და ზედა ზღვარი) - ბუნებრივი გაზის განაწილების და გატარების ამჟამად მოქმედი ტარიფები დადგენილია კომისიის (სემეკის) 2005 წლის 30 დეკემბრის №30 დადგენილებით.

მიმწოდებელი ან გამანაწილებელი კომპანიის მხრიდან რაიმე სახის წინააღმდეგობის შემთხვევაში, მიმართეთ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი მიცკევიჩის ქ. № 19, +995 032 2 42 01 80

# ინფორმაცია მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის ფასის შესახებ

მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის ფასის* შესახებ ინფორმაცია წარმოადგენს საცალო მომხმარებლისათვის (მოსახლეობისა და გამანაწილებელ ქსელზე მიერთებული სხვა მომხმარებლისათვის) ბუნებრივი გაზის ფასის შეთავაზებას (ოფერტს) დამატებითი, განსაკუთრებული პირობების გარეშე, „ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და მოხმარების წესების“ შესაბამისად. თქვენი (მომხმარებლის) მიმდინარე სამომხმარებლო ტარიფი სხვადასხვა კომპონენტებთან ერთად შედგება მიმწოდებლისა და განაწილების ლიცენზიატის მომსახურების კომპონენტებისაგან. მომხმარებელს, სურვილის შემთხვევაში, შეუძლია აირჩიოს და ბუნებრივი გაზის შესყიდვაზე გააფორმოს ხელშეკრულება იმ მიმწოდებელ (ბუნებრივი გაზის გამყიდველთან), რომელიც უკეთეს პირობებს შესთავაზებს (მიუხედავად იმისა, ეწევა თუ არა აღნიშნული მიმწოდებელი მისთვის ბუნებრივი გაზის განაწილების საქმიანობას). ბუნებრივი გაზის გამანაწილებელი ქსელის მომსახურე კომპანიის (განაწილების ლიცენზიატის) არჩევა არ ხდება. მიმწოდებლის არჩევისა და ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, მიმწოდებელი ( ბუნებრივი გაზის გამყიდველი) თვითონ უზრუნველყოფს ბუნებრივი გაზით თქვენს მომარაგებას იმ განაწილების ლიცენზიატის მეშვეობით, რომელიც ფლობს გაზგანაწილების ქსელს. განაწილების ლიცენზიატი ვალდებულია ხელი შეუწყოს მომხმარებელსა და ნებისმიერ გაზის მიმწოდებელს შორის ურთიერთობას. თუ თქვენს მოთხოვნებს სრულად აკმაყოფილებს იმ მომსახურე კომპანიასთან (მიმწოდებელთან) ურთიერთობა, რომელიც ამჟამად გაწვდით ბუნებრივ გაზს (ახდენს ქვითრის გამოწერას არსებული, შეთანხმებული ფასით), წინამდებარე ინფორმაცია არ წარმოადგენს არსებული ურთიერთობების გადახედვის საფუძველს. აღნიშნული შეთავაზების საბოლოო ფასის განსაზღვრისთვის, ცხრილი № 1 -ში თქვენთვის სასურველი მიმწოდებლის შეთავაზებულ ფასს ემატება თქვენი გამანაწილებელი ქსელის მომსახურე განაწილების ლიცენზიატის განაწილების ან გატარების ტარიფი (იხ.შენიშვნა*), შეთავაზება ძალაშია ამავე ფორმით სხვა შეთავაზებამდე.

**1. საცალო მომხმარებელზე მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის შესახებ ინფორმაცია 2018 წლისთვის** **ცხრილი 1**

| № | ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი | იურიდიული მისამართი | ცხელი ხაზის ტელ. ნომერი, მობ. ნომერი, ელ. ფოსტა | საცალო მომხმარებლებზე მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის წლიური მოცულობა (კუბ.მ.) | **მოხმარებული ბუნებრივი გაზის შეთავაზებული ფასი ( დღგ-ის გარეშე თეთრი/კუბ.მ.) მომხმარებელთა კატეგორიების მიხედვით |
|---|---|---|---|---|---|
| ა | ბ | გ | დ | ე | ვ |
| 1 | ს.ს.,,ენერგოკავშირი" | ქ.თბილისი მუხიანი 1მ/რ. კ-13 | 2642869<br>energokavshiri@caucasus.net | საყოფაცხოვრებო 11950000<br>არასაყოფაცხოვრებო 850000 | საყოფაცხოვრებო 26.382<br>არასაყოფაცხოვრებო 68.332 |

*თუ ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი ეწევა ბუნებრივი გაზის განაწილების საქმიანობასაც,მომხმარებელს დაერიცხება შესაბამისი განაწილების ლიცენზიატისთვის დადგენილი განაწილების ტარიფი, ხოლო თუ ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი და გამანაწილებელი სხვადასხვა პირია, მომხმარებელს დაერიცხება შესაბამისი განაწილების ლიცენზიატისთვის დადგენილი გატარების ტარიფი.

**შეთავაზებული ბუნებრივი გაზის ღირებულებაში შედის ტრანსპორტირების მომსახურება (ტარიფი) გაზგამანაწილებელ ქსელამდე (განაწილების ან/და გატარების მომსახურების გარდა). მიმწოდებელს, რომელსაც თვითოეული კატეგორიისთვის შეთავაზებული აქვს ორი ფასი, ეს არის ზღვრული ფასები (ქვედა და ზედა ზღვარი) - ბუნებრივი გაზის განაწილების და გატარების ამჟამად მოქმედი ტარიფები დადგენილია კომისიის (სემეკის) 2005 წლის 30 დეკემბრის №30 დადგენილებით.

მიმწოდებელი ან გამანაწილებელი კომპანიის მხრიდან რაიმე სახის წინააღმდეგობის შემთხვევაში, მიმართეთ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი მიცკევიჩის ქ. № 19, +995 032 2 42 01 80

ძიუდო

# დღე – მეორე, მედალი – პირველი

**ქართველი ფალავნები ორშაბათიდან ძიუდოისტთა მსოფლიოს ჩემპიონატში ჩაებნენ, რომელსაც უნგრეთის დედაქალაქი მასპინძლობს. ასპარეზობის პირველ დღეს 60 კილოგრამ წონით კატეგორიაში ამირან პაპინაშვილი, რომელიც პირველ ნომრად იყო განთესილი, მეორე წრეში დამარცხდა და შეჯიბრებას გამოეთიშა.**

66 კილოში ევროპის 2016 წლის ჩემპიონმა ვაჟა მარგველაშვილმა იჭიდავა. მან ზედიზედ ოთხ მეტოქეს სძლია: იორდანიელი ბილალ ეიელსალმანი 2 წუთსა და 17 წამში გაფრთხილებებით დაამარცხა, სამხრეთაფრიკელი სიაბულელა მაბულუ 56 წამში შებოჭა. ამერიკელი რაიან ვარგასის ტატამზე ბეჭებით გასაკრავად წუთი და 25 წამი ეყო, მეოთხედფინალში კი მსოფლიოს ჩემპიონ ბაულ ანს (სამხრეთი კორეა) შეხვდა. მარგველაშვილს მასთან ორი წაგება ჰქონდა და ბუდაპესტში რევანში რვაწუთიანი ორთაბრძოლის შემდეგ შიდოთი აიღო.

ნახევარფინალში ქართველი ფალავანი 20 წლის იაპონელ ჰიფუმი აბეს დაუპირისპირდა. ამ უკანასკნელს აქამდე ჭაბუკთა და ახალგაზრდულ მსოფლიოს პირველობებზე ჰქონდა მოპოვებული ვერცხლის მედლები (4 წლის წინათ ჭაბუკებში ფინალი კობა მჭედლიშვილთან წაუგია). უფროსებში დებიუტი წარმატებული გამოდგა — მარგველაშვილი მან მე-4 წუთზე შებოჭვით დაამარცხა,



შემდეგ ფინალში რუსი მიხაილ პულიაევი ვადამდე დაჯაბნა და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. ქართველმა ფალავანმა ბრინჯაოსთვის პაექრობისას სამხრეთკორეელი ლიმვან კიმი მეოთხე წუთზე შებოჭა და საქართველოს ნაკრებს პირველი მედალი მოუტანა. მეორე „ბრინჯაო“ ტალ ფლიკერს (ისრაელი) ერგო, რომელმაც გადამწყვეტ ორთაბრძოლაში უკრაინის სახელით მოასპარეზე გიორგი ზანთარაიას აჯობა.

ბუდაპეშტის ტატამზე ინდივიდუალურ პირველობებში ასპარეზობის პირველ ორ დღეს ოთხი ოქროს მედალი გათამაშდა ქალ-ვაჟთა შორის და ოთხივე მთავარი ჯილდო ამომავალი მზის ქვეყნის წარმომადგენლებმა მოიპოვეს.

**ლექსო ცინცაძე**

დღეს ევრობასკეტი იწყება

## ილიას ზუროსი:

# „ჩვენი მიზანია, ყველა თამაშში კონკურენტუნარიანები ვიყოთ“

**საქართველოს კალათბურთო ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ილიას ზუროსმა ევრობასკეტის დაწყებამდე ერთი დღით ადრე გუნდში არსებულ მდგომარეობაზე ისაუბრა.**




„გუნდი კარგადაა მომზადებული. ზაზა ყველაფერს აკეთებს, რომ ღირსეულად დაბრუნდეს. ტრავმის შემდეგ დრო სჭირდება, თავისი რიტმი რომ იპოვოს. ის დიდი გამოცდილების მქონე მოთამაშეა და გუნდს აუცილებლად დაეხმარება. მან იცის, თუ რა გვჭირდება ახლა მისგან. ჩვენს გუნდს ბოლო დროს კარგი შედეგები აქვს, მაგრამ ახლა ყველაფერს ნულიდან ვიწყებთ. მსოფლიოს ტოპ გუნდებს უნდა დავუპირისპირდეთ და მათთან აგრესიული თამაში გვმართებს. დაცვაში თამაში აშკარად გამოვასწორეთ, განსაკუთრებით ეს სერბეთის და საბერძნეთის წინააღმდეგ მატჩებში გამოჩნდა. ჩვენი მიზანია, რომ ყველა თამაშში კონკურენტუნარიანები ვიყოთ. პირველი შეხვედრა ლიტვასთან ამხანაგური იყო, ახლა კი სხვანაირი თამაში იქნება და ჩვენ კარგად უნდა მოვემზადოთ ამისთვის“ — განაცხადა კალათბურთის ფედერაციის პრესსამსახურთან საუბრისას ილიას ზუროსმა.

ევრობასკეტ 2017-ის პირველ მატჩში საქართველოს ნაკრები ლიტვას დღეს თბილისის დროით 19:30 საათზე დაუპირისპირდება.

**ვიტალი ჯაფარიძე**

კრივი

# „ბრინჯაოც“ საპატიოა...

**გერმანულ ჰამბურგში მოკრივეთა მსოფლიოს ჩემპიონატზე 60 კილოგრამ წონით კატეგორიაში ახალქალაქელმა ოთარ ერანოსიანმა სტარტზე ყაზახი ადილეტ კურმეტოვი ჩამოიშორა გზიდან, მეორე წრეში 2015 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი შივა ტაპა (ინდოეთი) არ გამოუცხადდა და მეოთხედფინალში მსოფლიოს 2015 წლის ბრინჯაოს პრიზიორს, აზიური თამაშების 2017 წლის გამარჯვებულსა და 2015 წლის მესამეადგილოსან უზბეკ ელნურ აბდურაიმოვს დაუპირისპირდა.** მეოთხე ნომრად განთესილი აზიელი ასპარეზობის ერთ-ერთი ფავორიტი იყო. პირველი რაუნდი თანაბარ ბრძოლაში გაილია, მერე ჩვენებურის უპირატესობა აშკარა გახდა და გამარჯვების შანსი მას ხელიდან არ გაუშვია. მართალია, ორთაბრძოლის დამთავრებამდე 35 წამით ადრე მორიგი შეტევისას აბდურაიმოვის თავი მოხვდა და წარბი გაუსკდა, მაგრამ მწვრთნელებმა მალევე შეუჩერეს სისხლდენა და პაექრობაც მაჟორულ ნოტზე დაასრულა. პირველ სექტემბერს იგი ნახევარფინალში 26 წლის კუბელ მოკრივეს — ლასარო ხორხე ალვარეს ესტრადას შეხვდება. კუნძულელი 2012 და 2016 წლების ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორი, მსოფლიოს სამგზის (2011, 2013, 2015) ჩემპიონი და პანამერიკული თამაშების ორგზის გამარჯვებულია. მეოთხედფინალში მან გერმანიის სახელით მოასპარეზე მურატ იილდირიმი დაჯაბნა — 5:0.



**ლაშა დიდია**

რაგბი




# ქალებშიც – ახალი ზელანდია

**2017 წლის ქალთა მსოფლიო თასის გამარჯვებული ახალი ზელანდიის ნაკრები გახდა. „შავმა გვიმრებმა“ ფინალში ინგლისის დამარცხება მოახერხეს.**

პირველი ნახევარი ინგლისელთა მცირე უპირატესობით წარიმართა და მათი გამარჯვებით 17:10 დასრულდა, მეორე ტაიმში კი ახალზელანდიელებმა დიდი უპირატესობა მოიპოვეს და მეტოქე ხუთჯერ დაალელოვეს, რომელთაგან სამი გარდასახეს. ევროპელებმა მეტოქის 31 ქულას ორი ლელოთი (ერთი გარდასახული) და ერთი ჯარიმით უპასუხეს და შეხვედრა „შავი გვიმრების“ გამარჯვებით 41:32 დასრულდა.

ახალზელანდიელთაგან გამორჩეული ბურჯი ნატუა იყო, რომელმაც გადამწყვეტ მატჩში სამი ლელოს გატანა მოახერხა, ხოლო ინგლისელთაგან გარემარბი ტომპსონი გამოირჩეოდა — ორი ლელო მიითვალა.

**ცნობისთვის:** ქალთა მსოფლიო თასი მერვედ ჩატარდა და ახალი ზელანდიის ნაკრები გამარჯვებული მეხუთედ გახდა. „შავი გვიმრების“ გარდა ქალთა უძლიერესი ნაკრები ორჯერ ინგლისს (1994 და 2014 წელს) და ერთხელ აშშ-ს (1991 წელს) ჰყოლიათ.

**კობა კობახიძე**

ფეხბურთი

# „პსჟ“ მადაზე მოვიდა

**„პარი სენ ჟერმენს“ მიმდინარე სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე მბაპესთან ერთად „მონაკოს“ კიდევ ერთი ფეხბურთელის ფაბინიოს დამატება უნდა.**

როგორც RMC Sport-ი იუწყება, ბრაზილიელის „პსჟ“-ში გადასვლის საკითხზე „მონაკომ“ პრინციპული პოზიცია დაიკავა და ფეხბურთელის შენარჩუნებას გეგმავს. რაც შეეხება მბაპეს, ის დიდი ალბათობით უკვე უახლოეს პერიოდში შეუერთდება პარიზელებს.

**გიორგი შოთაძე**



ინტერნეტიდან

# ლი პა ნი ფეხბურთზე გიჟდება

**ვისაც 2002 წლის საფეხბურთო მუნდიალი გახსოვთ, მაშინდელი ერთ-ერთი მასპინძელი ნაკრების სამხრეთ კორეის წარმატება და ნახევარფინალში თამაში, აბა, როგორ დაგავიწყდებათ? იმ მუნდიალის მერე სამხრეთ კორეელებს ბევრი არაფრისათვის მიუღწევიათ, მაგრამ ის კი ნამდვილად შეძლეს, რომ მათ ქვეყანაში ფეხბურთის ჭეშმარიტად მოყვარული თაობა წამოვიდა.**

ამ ყველაფერზე, სხვას რომ თავი დავანებოთ, სამხრეთ კორეის საფეხბურთო ნაკრების თილისმა, ცნობილი მშვენიერი მოდელი ლი პა ნიც მეტყველებს, რომელმაც, როგორც იძახიან, ფეხბურთი იმდენად კარგად იცის, რომ ერთ რამედ ღირს მასთან ერთად ლუდის თანხლებით ფეხბურთის ცქერა და მატჩის გარჩევა.

ლი პა ნი სამხრეთ კორეის არამხოლოდ მთავარი ნაკრების თამაშებს ესწრება. ამ გოგონას ახალგაზრდული გუნდებისა და ეროვნული საფეხბურთო პირველობის შეხვედრების დროსაც ხშირად დალანდავთ სტადიონზე და როდესაც თავისუფალი დრო აქვს, მისთვის განმუხტვის საუკეთესო საშუალება სწორედ სტადიონია. ასეთ გოგოს კი, დაგვეთანხმებით, განმუხტვა ნამდვილად სჭირდება...



**როსტომ რაჭველიშვილი**

## გამოსათხოვარი

# აკადემიკოსი გივი ცაგურიშვილი



საქართველოს აგრარულმა მეცნიერებამ დიდი დანაკლისი განიცადა — გარდაიცვალა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **გივი ცაგურიშვილი**. მისი სამეცნიერო მოღვაწეობა მოიცავდა მინდვრის კულტურების მოსავლიანობისა და მისი ხარისხის გაუმჯობესების საკითხებს. მას დიდი წვლილი მიუძღვის შუალედური კულტურების შერჩევაში ქვეყნის ბუნებრივ-კლიმატური ზონების მიხედვით და მათი თესვა-მოყვანის ტექნოლოგიის შემუშავებაში.

აკადემიკოს გივი ცაგურიშვილის ხელმძღვანელობით გამოცემულია საკვები კულტურების აგროწესები, რომელიც დღესაც წარმატებით გამოიყენება ამ დარგში მომუშავე სპეციალისტების მიერ. იგი არის მრავალი ძირითადი და დამხმარე სახელმძღვანელოების ავტორი.

აკადემიკოს გივი ცაგურიშვილის მიერ ხანგრძლივი დროის განმავლობაში ჩატარებული გამოკვლევების უმეტესი ნაწილი დანერგილია წარმოებაში.

აგრარიკოს მეცნიერთა დიდ ოჯახს გამოაკლდა ქვეყნისადმი ვალმოხდილი ადამიანი, საყოველთაოდ აღიარებული მეცნიერი, კარგი მეოჯახე, მეგობარი და პედაგოგი.

აკადემიკოს გივი ცაგურიშვილის ნათელი ხსოვნა მარად დარჩება მისი ახლობლების, კოლეგებისა და მეგობრების გულში.

**საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია**

## ხსოვნა

# ელენე კოდუა



გარდაიცვალა ღვაწლმოსილი ქალბატონი **ელენე კლიმენტის ასული კოდუა**. თავისი ხანგრძლივი ცხოვრება მან შემოქმედებითი წვით განვლო: მეცნიერებათა აკადემიის მთარგმნელობით-საგამომცემლო განყოფილების პასუხისმგებელი მუშაკი წლების მანძილზე რედაქტორობდა გამოჩენილი ქართველი მეცნიერების წიგნებს, თარგმნიდა რუსულ და ევროპულ კლასიკას, გამოცემული აქვს პოეტური და პროზაული ნაწარმოებების რამდენიმე კრებული. დაჯილდოებული იყო ივ. ჯავახიშვილის მედლით.

---

მამუკა ვაშაკიძე ოჯახით სამძიმარს უცხადებს უახლოეს მეგობარს უშანგი ჩომახიძეს მეუღლის, უკეთილშობილესი ქალბატონის

**ელენე კოდუას**

გარდაცვალების გამო. გვერდში უდგას ამ დიდი გაჭირვების დროს და თანაუგრძნობს გარდაცვლილის ახლობლებს.

---

გურამ (კოია) გომართელი, ალექსანდრე ციხელაშვილი, ოთარ ტურაბელიძე, გივი ჯოლბორდი, თემურ დანელია, გია გაბრიჭიძე ღრმა მწუხარებით იუწყებიან კდემამოსილი ქალბატონის

**ელენე კლიმენტის ასულ კოდუას**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ უახლოეს მეგობარს უშანგი ჩომახიძეს ცხოვრების მეგობრის, უერთგულესი მეუღლის გარდაცვალების გამო.

---

საქართველოს თეატრალური საზოგადოება ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ჩვენი საზოგადოების წევრი, ქართული თეატრისა და კინოს ცნობილი მსახიობი, საბრძოლო ხელოვნების, სცენების დამდგმელი და უბადლო შემსრულებელი, საქართველოს სახალხო არტისტი, პროფესორი

**შოთა სხირტლაძე**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს და ახლობლებს.

**რეკლამა**

*„საქართველოს რესპუბლიკაში"*

სულხან-საბას ქ. №3.

293-13-34;

599 797679

## ◎ ახალი რეგულაციები

# წვენი, რომელსაც ხილის სურნელი ასდის

**ასპროცენტიანი დანამდვილებით შეიძლება თქმა, რომ იმის განმარტებას, თუ რით განსხვავდება ერთმანეთისგან რამდენიმე სახეობის უალკოჰოლო სასმელი, კერძოდ, „წვენი", „ნახარში" და „ნექტარი", ათი მომხმარებლიდან ცხრა ვერ შეძლებს.**

არადა, როგორც ირკვევა, ამის ცოდნას საკმაოდ დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. მით უმეტეს მაშინ, როცა ამ სასმელებს, ანდა სხვადასხვა კომპანიის მიერ წარმოებულ ლიმონათს, ვთქვათ, ბავშვებს, მეძუძურ ქალებს ან ავადმყოფებს ვასმევთ.

საქმე ის გახლავთ, რომ როცა მომხმარებელი ამა თუ იმ უალკოჰოლო სასმელის ბოთლზე დაკრულ ეტიკეტზე ხილს ხედავს და ეს სასმელი ლიმონათი არ არის, ქვეცნობიერად მას ნატურალურ წვენად აღიქვამს, რაც ჩვენს სინამდვილეში, სამწუხაროდ, შემთხვევათა აბსოლუტურ უმრავლესობაში, სინამდვილეს არ შეესაბამება. საყოველთაოდ მიღებული სტანდარტით კი „წვენი" — ესაა სასმელი, რომელშიც ხილის გარდა, არავითარი სხვა პროდუქტი არ არის გარეული. ამდენად შემცველობა 100 პროცენტით ნატურალურია. თუკი ეს ასე არ არის და ხილის შემცველობა ნაკლებია, ასეთ სასმელს „ნექტარი" ეწოდება, ხოლო, როცა ხილის შემცველობა ძალიან დაბალია, მაშინ ეს უკვე „ნახარში წვენის შემცველი სასმელის" კატეგორიაში გადის. აქედან გამომდინარე, ცხადია, როცა პროდუქციაზე სათანადო რეგულაციები არასრულფასოვანია, ანდა სულაც არ არსებობს, როგორც ეს აქამდე იყო. ეს გარემოება ბაზარზე სამართლიანი კონკურენციის პირობებს უხეშად არღვევს და კეთილსინდისიერ მწარმოებელს სხვასთან შედარებით არათანაბარ პირობებში აყენებს. ამიტომაც, უალკოჰოლო სასმელების მწარმოებლები წვენების წარმოებაში რეგულაციის დაწესებას წლების მანძილზე უშედეგოდ ითხოვდნენ და როგორც ჩანს, ახლო მომავალში ეს საკითხი დადებითად გადაწყდება: სოფლის მეურნეობის სამინისტროში აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კანონპროექტზე მუშაობა სრულდება, რაც მწარმოებელსაც და მომხმარებელსაც ერთიანად წაადგება.




ამასთანავე, მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ, როგორც უალკოჰოლო სასმელების მწარმოებლები აცხადებენ, ნატურალური წვენების გამოშვებაში რეგულაციის შემოღების პარალელურად აუცილებელია ასევე მისი ლიმონათის წარმოებაში დანერგვა. ამის უმთავრესი მიზეზი კი ბაზარზე აუარება უხარისხო ლიმონათის არსებობაა, რომელიც ჯანმრთელობისთვის ზიანის მომტან მწვანე ფერის მიმცემ საკვებ საღებავს — **ტარტრაზინს** შეიცავს. მაგალითად, პოპულარული „ტარხუნის" ლიმონათში მას მწვანე ფერის სიმძაფრის გასაზრდელად იყენებენ. მართალია, აღნიშნული საკვების საღებავი შხამი არ არის, მაგრამ არც პატარებისთვის, არც მეძუძური დედებისთვის მისი მიღება სასურველი არ არის. ჰოდა, მაშინ საკითხავია, თუკი ეს ასეა, მაშ სხვებს რაღა ძალა გვადგია, რომ მაინცდამაინც ის და მისნაირი ლიმონათები ვსვათ?

ამიტომაც, როგორც ჩანს, ახლო მომავლიდან ლიმონათის ბოთლებზე დაკრულ ეტიკეტებზე აუცილებლად უნდა იყოს აღნიშნული, თუკი შეთავაზებული სასმელი **ტოტრიზინს** შეიცავს.

ბოლოს კი იმის თქმა შეიძლება, რომ ნატურალური წვენებისა და ლიმონათის წარმოების გარდა რეგულაციები ასევე დაწესდება მაგარი სპირტიანი სასმელების — ვისკისა და ჯინის წარმოებაშიც. იმის გათვალისწინებით, რომ ბოლო დრომდე ჩვენში არც ერთი მათგანი არ იწარმოებოდა, ამ დარგში სათანადო რეგულაციების არ არსებობა, რომ იტყვიან, „საპატიო მიზეზითაა", ხოლო რაც შეეხება წვენებისა და სხვა უალკოჰოლო სასმელების გამოშვებას, ამ შემთხვევაში კი მართლაც სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს".

**ოთარ ტურაბელიძე**

## სანთელი

და ცირა ლომინაძე, ძმა ზაურ ფაჩულია, რძალი როზალინა ფაჩულია, სიძე გივი ლომინაძე, დისშვილები ნიკოლოზ ლომინაძე, ლიკა ლომინაძე-პაპაშვილი, ძმისშვილი კოკოშა ფაჩულია ოჯახებით იუწყებიან

**ეთერ ფაჩულიას**

გარდაცვალებას.

პანაშვიდი 31 VIII, 1 IX, 17 სთ-ზე, ვარკეთილის ზემო პლატო, მე-2 მიკრორაიონი, მე-2 კორპუსი, I სადარბაზო, მე-6 სართული. გამოსვენება შაბათს, 2 IX 14 სთ-ზე საბურთალოს ამაღლების ეკლესიიდან. დაკრძალვა საბურთალოს სასაფლაოზე.

# განცხადება

2017 წლის 20 ოქტომბერს 13 საათზე ქ. გარდაბნის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში (მისამართი: ქ. გარდაბანი, დ. აღმაშენებლის ქ. №127) გაიმართება ქ. გარდაბანში, თბილსრესის მიმდებარე ტერიტორიაზე 110 კვ-იანი ეგხ-ე „მარანი"-ს რეკონსტრუქცია/მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

- ქ. გარდაბნის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში - ქ. გარდაბანი, დ. აღმაშენებლის ქ. №127
- შპს „გამა კონსალტინგი"-ს ოფისში – ქ. თბილისი, გურამიშვილის გამზირი №17ა. ტელ: 2 60 15 27.

გთხოვთ, წერილობითი შენიშვნები და კომენტარები მიაწოდოთ ქვემოთ მითითებულ პირს:

- გიორგი მარგებაძე ტელ: 577 370 103; E-mail: g_margebadze@giec.ge
- ნიკოლოზ სოფაძე. ტელ: 597 72 88 71; E-mail: nikasofadze@hotmail.com;

საზოგადოებას საკუთარი მოსაზრებების და შენიშვნების წარმოდგენა შეუძლიათ განცხადების გამოქვეყნებიდან 45 დღის ვადაში.

**შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციას" ადმინისტრაცია**

# კოოპერატივი „რკ აგრო-ლია 2014"

# განცხადება

კოოპერატივი „რკ აგრო-ლია 2014" იწვევს მეპაიეთა საერთო კრებას — საზოგადოების უძრავი ქონების იპოთეკით დატვირთვის შესახებ, რომელიც ჩატარდება 2017წლის 23 სექტემბერს 12სთ-ზე მისამართზე: ქ.ზუგდიდი, კოსტავას ქ.112.

# სოციალურად დაუცველო სტუდენტებო! სწავლის დასაფინანსებლად მერიას სექტემბრიდან მიმართეთ!

**თბილისის მერია სოციალურად დაუცველი სტუდენტების სწავლის დასაფინანსებლად პირველი სექტემბრიდან საბუთების მიღებას იწყებს.**

სოციალურად დაუცველი და წარმატებული სტუდენტების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში, დაფინანსდებიან ქალაქ თბილისში რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი ოჯახის წევრი სტუდენტები, რომელთა სარეიტინგო ქულა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში 70 000-ზე ნაკლებია და სწავლობენ სახელმწიფოს მიერ ავტორიზებულ, აკრედიტებულ, სახელმწიფო ან კერძო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ბაკალავრიატის, მაგისტრატურის ან დოქტორანტურის აკადემიურ საფეხურზე.



წელს, პირველად, დოქტორანტურის სტუდენტები პროგრამის ფარგლებში, თბილისის მერიისგან დაფინანსებას მიიღებენ. ახალი წესის შესაბამისად მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტები სასწავლო გრანტის ფარგლებში 50%- დან 100%-მდე დაფინანსდებიან.

2015-2017 წლებში „სოციალურად დაუცველი სტუდენტების ხელშეწყობის“ პროგრამის ფარგლებში, უკვე დაფინანსდა 5 000-ზე მეტი თბილისში რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი სტუდენტი.

დაფინანსების მისაღებად სტუდენტმა მერიაში უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია: პირადობის მოწმობის ასლი; ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიანი ბაზიდან; ცნობა უნივერსიტეტიდან წლიური გადასახადის მითითებით; უნივერსიტეტის საბანკო რეკვიზიტები და ანგარიშფაქტურა; უნივერსიტეტის მიერ გაცემული აკადემიური მოსწრების მაჩვენებელი (გარდა I სემესტრის სტუდენტებისა); I სემესტრის სტუდენტებისათვის სავალდებულოა ერთიან ეროვნულ გამოცდებში მიღებული ქულებისა და შედეგების შესახებ ცნობა; რეკომენდაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან (გარდა I სემესტრის სტუდენტებისა); სამოტივაციო წერილი;

2017-2018 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის დაფინანსებისთვის განცხადებები მიიღება მიმდინარე წლის პირველი სექტემბრიდან 24 ნოემბრის ჩათვლით.

# ყველანი საყოველთაო დაცვაზე!

**როგორც ცნობილია, ვირუსებით კომპიუტერებიც „ავადდებიან“ და სმარტფონებიც.**

ამ უკანასკნელთათვის საშიშროების შემცველი ვირუსების დაყოფა სამ ჯგუფად შეიძლება: **ვირუსი-გამომძალველი** — ეკრანს ბლოკავს და მერე მის განბლოკვაში ფულის გადახდას ითხოვენ; **ვირუსი-ქურდები** — სიმ-ბარათის ანგარიშიდან ფულს იპარავენ. ისინი სმს-შეტყობინებას გზავნიან და ფასიან ნომრებზე მანამდე რეკავენ, ვიდრე სიმ-ბარათზე ფული არ გამოილევა; არსებობს ასევე ინფორმაციის **მომპარავი ვირუსები** — ისინი თაღლითებს საბანკო ბარათების და ინტერნეტ-ბანკებიდან მონაცემებს გადასცემენ, შეუძლიათ შეუმჩნევლად ფოტო, ვიდეოკამერის, ან დიქტოფონის ჩართვა, ასევე მოწყობილობის მეხსიერებიდან ფაილების გაგზავნა.



ყველა ეს ვირუსი დანართით ან სხვადასხვა ფაილით — პლეერად, ბრაუზერად და ა.შ. — ინიღბება. მათგან დაცვა მხოლოდ წინდახედულობის გამოჩენით შეიძლება, რისთვისაც საჭიროა დანართების გადაქაჩვა მხოლოდ ოფიციალურ მაღაზიებში, საეჭვო სმს, მმს და საფოსტო შეტყობინებების მითითებათა შესრულება, მხოლოდ ლიცენზირებული ანტივირუსებით სარგებლობა და სხვა.

# ნიჭის მემკვიდრეობითობა



**საოცარი განცხადება გააკეთეს პიტსბურგელმა (აშშ) მეცნიერებმა ჩატარებული გამოკვლევის შედეგების დაჯამების შემდეგ.**

მკვლევარებმა 50 ოჯახი შეისწავლეს და სცადეს კავშირის დადგენა მათი შვილების მათემატიკურ ჩვევებსა და იმას შორის, თუ როგორ ართმევდნენ თავს ამ საგანს მათი მშობლები.

აღმოჩნდა, რომ მშობლების ტესტების მიხედვით, შვილების უნარის წინასწარმეტყველება 46-51 პროცენტის ალბათობითაა შესაძლებელი.

# საფრთხილო ანტიბიოტიკები

**მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ბავშვობაში ანტიბიოტიკების მიღება მომავალში ალერგიის წარმოშობის რისკს ამძაფრებს.**



გამოკვლევით დადგინდა, რომ სიცოცხლის პირველი ორი წლის მანძილზე მიღება მოზრდილ ადამიანში ეგზემის გაჩენის რისკს 15-41 პროცენტით ზრდიდა.

საქმე ისაა, რომ ანტიბიოტიკები იმუნური სისტემის მუშაობაში ერევიან კუჭ-ნაწლავთა ბაქტერიებზე ზემოქმედების გზით, რაც მომავალში, შესაძლოა, იმუნურ რეაქციებზე ცუდად აისახოს.

# ალერგიისგან დამცველი



**სოციოლოგთა მონაცემებით, კატა ყველაზე პოპულარული შინაური ცხოველია. ამასთან, მედიკოსები ამტკიცებენ, რომ სახლში კატის ყოლა ბავშვს მომავალში... ალერგიისგან იცავს.**

ყველაფერი მიჩვევაზე ყოფილა დამოკიდებული: როცა პატარა სასათბურე პირობებში იზრდება, ის ალერგენს ნაკლებად ხვდება, ამიტომაც მისი იმუნური სისტემა თავისებურ წვრთნას არ გადის, კატასთან კონტაქტი კი მას ასეთი ტრენინგის შესაძლებლობას უქმნის.

ამასთან გასათვალისწინებელია, რომ აქ ლაპარაკია იმ შემთხვევებზე, როცა კატა ოჯახშია ბავშვის სიცოცხლის პირველსავე დღეებიდან, მაგრამ თუკი ცხოველი მოგვიანებით გაჩნდება, ალერგიის წარმოშობა უკვე გამორიცხული არ არის.

საინტერესოა სახლის ცხოველებთან დაკავშირებული ზოგიერთი სტატისტიკური მონაცემიც. კერძოდ, ცხოველების პატრონთა 54 პროცენტს კატა ჰყავს, 28 პროცენტს — ძაღლი, 8 პროცენტს — თევზები, 7 პროცენტს — მღრღნელები, 5 პროცენტს კი — ფრინველები.

# საუკეთესო კინოკომედია

**კორპორაცია „ბიბისიმ“ 52 ქვეყნის 253 კინოკრიტიკოსი მოიწვია, რომ მათ დაესახელებინათ ყველა დროის 100 საუკეთესო კინოკომედია. მნიშვნელობა არ ჰქონდა თუ რომელი ქვეყნის იქნებოდა ფილმი ან რომელ წელს გადაღებული.**



სიაში მოხვდა არაერთი გენიალური რეჟისორის ცნობილი ფილმი.

პირველ ადგილას კი უმრავლესობამ ყველასთვის საყვარელი ბილი უაილდერის მიერ 1959 წელს გადაღებული კინოკლასიკა „ჯაზში მხოლოდ ქალიშვილები არიან“ დაასახელა.

**მოამზადეს**
**ნანა ალექსანდრიამ, რუსუდან ქობულიამ**


საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“

იბეჭდება გამომცემლობა „კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001



ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.



„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!


## უცხოური ვალუტის კურსი:

აშშ დოლარი - 2.4184; ევრო - 2.9101;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.1311;
100 რუბლი - 4.1175; თურქული ლირა - 0.7022;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4233;
1000 სომხური დრამი - 5.0436.

## ამინდი 31 აგვისტოსთვის

| | | |
|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | |
| ბარი - | ღამე +17 | დღე +37 |
| მთიანი რაიონები - | ღამე +13, | დღე +34 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | |
| ბარი - | ღამე +19, | დღე +30 |
| მთიანი რაიონები - | ღამე +15, | დღე +30 |
| თბილისი: | ღამე +22, | დღე +36 |


დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge